საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია
1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 დეკემბერი, 2008 წელი.
№ 231 (6088)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika
ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამთავრობო გადახალისება, რომელიც ხალხს ხალისს უკარგავს

მამუკა კაციტაძე:

ხელისუფლება აგონიაშია...

სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრად ნიკა რურუას დანიშვნა ხელისუფლების აგონიაში ყოფნაზე მიუთითებს.

გია ხუხაშვილი:

თანამდებობებზე სახელის და გვარის გამოცვლა არაფერს ნიშნავს

მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები „კარუსელის" პრინციპზეა აგებული და ის სახელმწიფო მართვის სისტემაში საფუძვლიან ცვლილებებს ვერ გამოიწვევს.

ლაშა ბაქრაძე:

საქართველოში მინისტრების მოძებნა ჭირს

სახელისუფლო ბირთვი დღითი დღე ვიწროვდება, რაც დღეს კიდევ ერთხელ დაადასტურა კულტურის მინისტრის პოსტზე თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნიკა რურუას დანიშვნამ.

გიორგი თარგამაძე:

სამთავრობო ცვლილებების ქართული შოუ

②

ისე ჩანს, თითქოს პრეზიდენტი და პრემიერი ერთმანეთს ეჯიბრებიან წარმოუდგენელი კადრების შერჩევაში.



ოპოზიციას საკრიტიკო ლექსიკაც ჩამოართვეს

④

„უშიშროების საბჭოზე აფხაზეთში გაეროს მისიის სახელწოდების შეცვლაზე გადაწყვეტილებას მხარს აშშ და დიდი ბრიტანეთი არ დაუჭერენ"

ობამამ მედვედევს სახეზე ღიმილი შეაყინა

③

„საია" მთავრობის ქმედების დანაშაულებრივ დეტალებს აქვეყნებს

რატომ არის საქართველო არასტაბილური? — შეეკითხეთ რუსებს!

⑧

THE INDEPENDENT

თავისუფალი ვაჭრობა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ...

⑥

როგორღა გაუწევს ჩვენი ფერმერი კონკურენციას ევროპელ ფერმერს, როცა სახელმწიფოსგან არანაირი ყურადღება და დახმარება არა აქვს?

№ 231. ოთხშაბათი, 10 დეკემბერი, 2008 წელი.

კარუსელი

სამთავრობო გადახალისება, რომელიც ხალხს ხალისს უკარგავს

პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა მინისტრთა კაბინეტის ახალი წევრები წარადგინა. მგალობლიშვილის განცხადებით, ბოლო დღეების განმავლობაში გრძელდებოდა კონსულტაციები საქართველოს პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან მთავრობის შემდგომი გადახალისების მიზნით. კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტზე აშშ-ში საქართველოს ყოფილი ელჩი დავით სიხარულიძე, ეკონომიკური განვითარების მინისტრად დეპუტატი ლაშა ჟვანია, კულტურის მინისტრად კი, ასევე დეპუტატი ნიკა რურუა დაინიშნებიან.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია თანამიმდევრულად შევძლოთ ყველა იმ დასახული ამოცანის შესრულება, რომელიც ჩვენ დავპირდით ხალხს და გადავდგათ ნაბიჯები 18-თვიანი გეგმის შესასრულებლად, რაც საბოლოოდ გამოიყვანს ქვეყანას იმ კრიზისიდან, რომელშიც აღმოჩნდა აგვისტოში რუსეთის აგრესიის შედეგად“, — განაცხადა მგალობლიშვილმა.

მისივე თქმით, ეკონომიკური განვითარების მინისტრობის კანდიდატი ლაშა ჟვანია, გარდა იმისა, რომ კარგი დიპლომატია, აქვს დიდი გამოცდილება ინვესტორებთან ურთიერთობისა.

„ის იყო ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატი და კარგად იცის, თუ რა სჭირდება ხალხს და როგორ უნდა მოიზიდოს დამატებითი ინვესტიციები“, — აღნიშნა პრემიერმა.

ეკონომიკური განვითარების მინისტრობის კანდიდატი ლაშა ჟვანია აცხადებს, რომ მას ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით კონსულტაციები პრემიერთან და პრეზიდენტთან ჰქონდა.

ჟვანიას თქმით, მისი მთავარი პრიორიტეტი ახალი საწარმოების გახსნა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა იქნება.

რაც შეეხება ეკა შარაშიძეს, მგალობლიშვილის განცხადებით, იგი კვლავ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას უბრუნდება.

მან ასევე მნიშვნელოვანი უწოდა თავდაცვის მინისტრის პოსტზე დავით სიხარულიძის დანიშვნას და აღნიშნა, გარდა იმისა, რომ სიხარულიძე გამოცდილი დიპლომატია, იგი მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ამასთან, აქვს ნატოში მუშაობის გამოცდილებაო.

ამ ურთულეს პერიოდში დავით სიხარულიძე შეძლებს წარმატებით გაართვას თავი დიდ პასუხისმგებლობას, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

რაც შეეხება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნიკა რურუას კულტურის მინისტრად დანიშვნას, მგალობლიშვილმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ დღეს საქართველოს თავდაცვის ხაზი სწორედ ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე გადის.

კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის ახლადდანიშნული მინისტრი ნიკა რურუა აცხადებს, რომ კულტურის სამინისტროში მუშაობას უწყებაში არსებული პრობლემების შესწავლით დაიწყებს.

„კულტურის სამინისტროში მუშაობას ყველა არსებული პრობლემების შესწავლით დავიწყებ. ამ პრობლემების გადაჭრას შევუდგები მაშინვე, როდესაც ამის უფლებამოსილება მექნება“, — განაცხადა ნიკა რურუამ.

ფინანსთა მინისტრი ნიკა გილაური პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობას ითავსებს. ინფორმაცია ამის შესახებ მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ვიცე-პრემიერის თანამდებობას ინარჩუნებს სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე.

შესაბამისად, მთავრობაში ორი ვიცე-პრემიერის თანამდებობაა. აღნიშნული პოსტების რაოდენობის გაზრდაზე საუბარი მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იყო, როდესაც პრეზიდენტმა ვიცე-პრემიერობა ოპოზიციის წარმომადგენლებს შესთავაზა.

ხელისუფლება აგონიაშია...

სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრად ნიკა რურუას დანიშვნა ხელისუფლების აგონიაში ყოფნაზე მიუთითებს. ამის შესახებ „ახალი მემარჯვენეების“ წევრმა მამუკა კაციტაძემ განაცხადა.

— კულტურის მინისტრად ნიკა რურუას დანიშვნა მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლება ქართული წესჩვეულებებსა და ტრადიციებს ხელს კრავს, აბუჩად იგდებს. ადამიანი, რომელიც ნატოს თემაზე, ომზე და დაბომბვაზე ლაპარაკობდა, დღეს კულტურის მინისტრად გვევლინება, ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება, ეს ჩვენი მთავრობის კრახია, — განაცხადა კაციტაძემ.

მისივე თქმით, ხელისუფლებას არ ყოფნის უნარი, სახელმწიფოს მმართველობა ყოველმხრივ განახორციელოს.

თანამდებობებზე სახელის და გვარის გამოცვლა არაფერს ნიშნავს

მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები „კარუსელის“ პრინციპზეა აგებული და ის სახელმწიფო მართვის სისტემაში საფუძვლიან ცვლილებებს ვერ გამოიწვევს. ამის შესახებ ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილმა განაცხადა.

— პიროვნული უკმაყოფილება არც ერთი ადამიანის და მინისტრის მიმართ არ მაქვს, მაგრამ მინისტრთა დანიშვნასთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები არსებობს. აქამდე არ ვიცოდი ლაშა ჟვანია ეკონომიკაში თუ ასე ძლიერი იყო, გარკვეული გაოცება ახლდა რურუას კულტურის მინისტრად დანიშვნასაც. ერთადერთი სერიოზული სიგნალი საგარეო საქმეთა მინისტრად გრიგოლ ვაშაძის დანიშვნა იყო. ხელისუფლებამ ირაკლი ალასანიას საქართველოში დაბრუნება ვაშინგტონის მხრიდან შექმნილ საფრთხედ აღიქვა, ამიტომ საგარეო უწყებაში რუსეთის მოქალაქის დანიშვნით ჩვენი ხელისუფლება ცდილობს ამერიკა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებით დააშინოს. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ თანამდებობებზე მხოლოდ სახელისა და გვარის გამოცვლა არაფერია, მთავარია სისტემური ცვლილება საფუძვლიანად განხორციელდეს, — განაცხადა ხუხაშვილმა.

საქართველოში მინისტრების მოძებნა ჭირს

კინომცოდნე ლაშა ბაქრაძე მიიჩნევს, რომ საქართველოში მინისტრების მოძებნა სულ უფრო ძნელი ხდება.

როგორც ლაშა ბაქრაძემ განაცხადა, სახელისუფლო ბირთვი დღითი დღე ვიწროვდება, რაც დღეს კიდევ ერთხელ დაადასტურა კულტურის მინისტრის პოსტზე თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნიკა რურუას დანიშვნამ.

სამწუხაროდ, ხელისუფლებას, პრაქტიკულად, აღარ დარჩა ერთგული კადრები და ყოველი ახალი ცვლილება ერთ ვიწრო წრეში ხდება. ასეთი სახის ცვლილებები კი მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი უნდობლობას ამძაფრებს, — მიიჩნევს ბაქრაძე.

მისივე თქმით, კულტურის ახალ მინისტრს, ისევე, როგორც ყველა სხვა მინისტრს საქართველოში, საეჭვოა, დარგის განვითარების პროგრამა ჰქონდეს.

სამთავრობო ცვლილებების ქართული შოუ

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე სამთავრობო ცვლილებებს შოუს ელემენტებით გაჯერებულად აფასებს.

გიორგი თარგამაძემ განაცხადა, ისე ჩანს, თითქოს პრეზიდენტი და პრემიერი ერთმანეთს ეჯიბრებიან წარმოუდგენელი კადრების შერჩევაში.

მისი თქმით, არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება და შეუძლებელია ადეკვატური უწოდო განათლების მინისტრად ყოფილი პროკურორის წარდგენას, ხოლო „თვითმფრინავების და ტანკების სპეციალისტის კულტურის ფრონტზე გაშვებას“.

რაც შეეხება ლაშა ჟვანიას ეკონომიკის მინისტრის პოსტზე, ხოლო თავდაცვის უწყების ხელმძღვანელად დავით სიხარულიძის კანდიდატურებს, ამ გადაწყვეტილებას თარგამაძე უარყოფითად არ აფასებს.

ამასთან, გიორგი თარგამაძე სამთავრობო ცვლილებებს უახლოეს ხანში, „გარკვეული პაუზის“ შემდეგაც არ გამორიცხავს.

პაუზას კი უმცირესობის ლიდერი ამერიკის ადმინისტრაციიდან წამოსულ იმპულსებს უკავშირებს, რაც, როგორც თარგამაძე აცხადებს, საქართველოს მთავრობის შემადგენლობაზე აუცილებლად აისახება.



სიხარულიძის გამინისტრება აშშ-სთან თანამშრომლობის გაგრძელებაა

სამხედრო ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი თავდაცვის ახალ მინისტრს დავით სიხარულიძეს არსებულ კანდიდატურათა შორის საუკეთესოდ მიიჩნევს.

როგორც სესიაშვილმა განაცხადა, სიხარულიძის დანიშვნა მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. სესიაშვილის განცხადებით, დავით სიხარულიძე ჭკვიანი ადამიანია და თავდაცვის სფეროში გარკვეული გამოცდილებაც გააჩნია, რაც შესაძლებელს ხდის, რომ მან შემდგომი მუშაობა ეფექტურად განახორციელოს.

სესიაშვილი თავდაცვის მინისტრად აშშ-ში ყოფილი ელჩის დანიშვნის რამდენიმე მიზეზს ხედავს. იგი აცხადებს, რომ აშშ-ს პრეზიდენტის ცვლილებასთან ერთად ელჩის შეცვლა გამართლებულია, ვინაიდან აღნიშნულ თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს პირი, რომელსაც „დემოკრატებთან“ მეტი და კარგი ურთიერთობები გააჩნია. რაც შეხება ელჩის მინისტრად გადმოყვანას, სესიაშვილის განცხადებით, ეს მიანიშნებს, რომ საქართველო ინარჩუნებს სამხედრო თანამშრომლობას აშშ-სთან, რაშიც ახალი მინისტრის კარგი კავშირები ამ სახელმწიფოსთან საქართველოს უდავოდ წაადგება.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

◎ ანგარიში

ვინ განკარგავს სარეზერვო ფონდებს და რისთვის იხარჯება ფული?

„საია“ მთავრობის ქმედების დანაშაულებრივ დეტალებს აქვეყნებს

9 დეკემბერს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. რადგან პრეზენტაცია სწორედ კორუფციასთან ბრძოლის დღეს დაამთხვიეს, წინასწარვე იგულისხმებოდა, რომ ანგარიშში მთავრობის საქმიანობის ბევრი არასახარბიელო დეტალი გამომზეურდებოდა.

2007 წლის საპრეზიდენტო ფონდის ანგარიში წარმოადგინეს საიას იურისტებმა თათული თოდუამ და ლინა ღვინიანიძემ. მათ აღნიშნეს, რომ ინფორმაციები მოიპოვეს ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან დაბრკოლებები შეექმნათ სხვადასხვა მიზეზთა გამო. აღმოჩნდა, რომ შესაბამისი უწყებები დეტალურ ინფორმაციას არ ფლობდნენ, ფონდიდან თანხების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება გარემოებების შეფასებისა და შეჯერების გარეშე ხდებოდა, ხანდახან თანხებს გასცემდნენ არაგონივრულად მცირე ვადებში.

ზოგადად, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდი შეადგენს მთელი სახელმწიფოს ბიუჯეტის 2 პროცენტს. გასულ წელს, ფონდის თანხა 25 მილიონი იყო, თუმცა ამავე დროს, ფინანსთა სამინისტროს ანგარიშში მითითებულია 65 მილიონი ლარი. ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ საიას კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ რეალურად, სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 95 მილიონი ლარი. ანუ, როგორც ექსპერტები ამბობენ, ეს ნიშნავს ფონდის გადახარჯვას. გადახარჯვის შემთხვევაში თანამდებობის პასუხისმგებლობის საკითხი დგება. მაგალითად, პრეზიდენტის, დოკუმენტზე ხელისმომწერი თანამდებობის პირის საკითხი და ა. შ., თუმცა, ამავე დროს, მათ იცავს იმუნიტეტი და მათი იმპიჩმენტის საკითხი პარლამენტის გადასაწყვეტია. რას გადაწყვეტს ეს უკანასკნელი, ადვილი წარმოსადგენია, რადგან საია უკვე მერვედ აქვეყნებს მსგავს ანგარიშს, ვინმეს დანაშაულებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე კი პარლამენტს არასდროს უმსჯელია.

იურისტების განმარტებით, სარეზერვო ფონდების დანიშნულებაა, გაუთვალისწინებელი სიტუაციების დროს გამოყოს თანხები და არა ისეთი ღონისძიებებისთვის, როგორიცაა ეროვნული დღესასწაულები, ვთქვათ, 26 მაისი, 23 ნოემბერი ან თელავქალაქობა. ასევე უმთავრესი არის სტიქიის შედეგად გამოწვეული ზარალის საკომპენსაციო თანხები. კვლევებმა უჩვენეს, რომ 2004 წლიდან სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის არც ერთი ლარი არ დახარჯულა, 2007 წელს კი 150 ათასი ლარი გამოიყო, რომელიც სტიქიის პრევენციაზე გაწეული ხარჯებია და არა – უშუალოდ სტიქიისთვის. ეს მაშინ ხდება, როცა სარეზერვო ფონდიდან დაიფარა რამდენიმე წლის წინანდელი დავალიანებებიც კი, რაც არ არის ამ ფონდის კომპეტენცია.

არამიზნობრივი ხარჯების თვალსაჩინოებისთვის გამოდგება ისიც, რომ ფონდიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოეყო 30 მილიონი ლარი, მაშინ, როცა ოფიციალურად ფონდის ანგარიში 25 მილიონი ლარი იყო.

პრეზენტაციაზე მასმედიის გარდა, მოწვეულები იყვნენ ფინანსთა სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებმაც დისკუსია გამართეს, თუმცა ნაკლებად კრიტიკული.

საია 2008 წლის სარეზერვო ფონდის მონიტორინგს არ განახორციელებს, ვინაიდან ექსპერტთა რჩევით, მას რეალური შედეგი არ აქვს, ყოველ შემთხვევაში – სასიკეთო. ფონდების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელეს, ფონდის მიზანი გაფართოვდა, თანხების მოცულობა უცვლელი დარჩა, თანხის გამოყოფის პროცედურა – ბუნდოვანი, ხოლო კონტროლის მექანიზმი შესუსტდა. მაგალითად, ფინანსთა სამინისტრო არათუ ახორციელებს სარეზერვო ფონდის კონტროლს, არამედ თვითონ ახდენს დარღვევებს.

ახალგაზრდა იურისტები გვპირდებიან, რომ მომავალ წელს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხების მონიტორინგს აწარმოებენ, თუმცა თავიდანვე ამბობენ, რომ ანგარიშების სრული კონტროლი რთული იქნება, ვინაიდან ბიუჯეტის თანხების 2 პროცენტშიც კი უამრავი ხარვეზი, დანაშაულებრივი ქმედება გამოვლინდა.

თეა მოსია.

◎ ინფორმაცია


საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია – შეღავათიან ფასებში

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკ) ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფის გადახედვა 5 წლის განმავლობაში არ მოუწევს, – განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა.

ჩალაგაშვილის თქმით, ამის საფუძველია აზერბაიჯანთან ბუნებრივი აირის შესყიდვის შესახებ მიღწეული შეთანხმებაა.

სემეკ-ის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან განიხილა.

პრეზიდენტმა მოისმინა ინფორმაცია, თუ რამდენად არის მზად საქართველო, გაუძლოს ცივ ზამთარს, – დასძინა ჩალაგაშვილმა.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, აზერბაიჯანი 2009 წლიდან საქართველოს მოსახლეობასა და თბოელექტროსადგურებს ბუნებრივ აირს შეღავათიან ფასად მიაწვდის.

ინტერპრესნიუსი

◎ თვალსაზრისი

ობამამ მედვედევს სახეზე ღიმილი შეაყინა

აშშ-ის ახალი ადმინისტრაციისა და საქართველოს მომავალი ურთიერთობების პირველი კონტურები გამოიკვეთა. თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაცია და შესაბამისად ახალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა რუსეთის მიერ საქართველოს სრულ განადგურებას არ დათანხმდება და უფრო მეტიც, რუსეთის ხელისუფლებას ლოიალური დამოკიდებულებით ვერ გაახარებს.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ვოიაჟისას დიმიტრი მედვედევის კმაყოფილება, როდესაც მან ძველ ადმინისტრაციას სალი აზრი მოუწონა და მასთან დაკავშირებით თეთრი სახლის საჯარო განცხადებით აღფრთოვანდა, ხანგრძლივი არ გამოდგა. არც მეტი არც ნაკლები, ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მედვედევს სიხარულის მიმიკა სახეზე შეაყინა.

ობამამ რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში საერთაშორისო ნორმების დარღვევაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ „მოსკოვმა მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში პოლიტიკა უნდა შეცვალოს“.

„ჩვენ რუსეთთან ურთიერთობა გვსურს ყველა იმ საკითხში, რომელშიც თანამშრომლობა შესაძლებელია“, – განაცხადა ობამამ და სწორედ ამ ფრაზის შემდგომ აღნიშნა, რომ რუსეთმა მეზობლებთან, ე.ი. საქართველოსთან თავისი პოლიტიკა უნდა შეცვალოსო.

რასაკვირველია, ობამას სულაც არ ქონდა მხედველობაში რუსეთის ლიდერების ზღვარგადასული ცინიზმი „დაკიდება, ჩამოკიდების“ შესახებ. სერიოზული პოლიტიკოსები ზნეობრივ კრიტერიუმებსაც იცავენ და ტაქტსაც. აქ საუბარია პრეზიდენტ მედვედევის მიერ ჯერ კიდევ ვაშინგტონში, ობამას წარმომადგენლების თანდასწრებით გაკეთებულ განცხადებაზე, რომ მოსკოვი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ახალი რეალობების გათვალისწინებითო. და, რასაკვირველია, უკვე ბავშვურ ახირებად ქცეული მედვედევის ფრაზები: „ჩვენი გადაწყვეტილება უცვლელია. ასეთი რამეებით არ ხუმრობენ ხოლმე. ჩვენ ჩვენი გადაწყვეტილებით საერთაშორისო სამართლის ორი ახალი სუბიექტი ვაღიარეთ“.

ისე, რუსეთში რატომ ჰქონდათ ობამასაგან სხვა მოლოდინი, ნამდვილად გაუგებარია. გაუგებარია ისიც, თუ რატომ ფიქრობდნენ, რომ თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაცია გაიზიარებდა მათ ბიოლოგიურ ზიზღს პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ.

ვაშინგტონშიც და ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში კარგად ესმით, რომ სააკაშვილთან ერთად თუ სააკაშვილის გარეშე მხარდაჭერა ქართულ სახელმწიფოს სჭირდება და ნეგატივზე თუ პოზიტივზე აქცენტირებული პერსონიფიკაცია სტრატეგიულ მიმართულებებს ვერ ცვლის.

ისე, თუ მედვედევმა ძველ ადმინისტრაციას კოჭი გაუგორა და პრეზიდენტი ბუში გადადგომის შემდგომ რუსეთში სათევზაოდაც კი დაპატიჟა, ძნელი სათქმელია, რომ ამან გავლენა იქონიოს ობამას დამოკიდებულებაზე საქართველოს მიმართ და მან აქედანვე დაიწყო იმაზე ფიქრი, ბაიკალის სანაპიროზე რომელ ადგილს გამოუყოფენ რუსეთის თავკაცები.

თეთრი სახლის ახალ ადმინისტრაციას, რომ საქართველოსთან მიმართებაში გარკვეული პოზიტიური გეგმები აქვს, ამაზე საუბარი დღეს არ დაწყებულა და ათვლის წერტილად, თუნდაც ობამას მიერ გაკეთებული ზემოთ ნახსენები განცხადება არ გამოდგება.

პრეზიდენტ ობამასა და ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის მიერ საქართველოსთან მიმართებაში სასარგებლო და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებზე საუბრობს საქართველოს „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერი დავით უსუფაშვილი.

უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი ობამა და ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი საქართველოსთან მიმართებაში შეიმუშავებენ და განახორციელებენ ორივე ქვეყნისთვის გაცილებით უფრო სასარგებლო და ეფექტიან პოლიტიკას, რომელიც მეტად დაეფუძნება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს და ინსტიტუტებს და ნაკლებად – მოკლევადიან ინტერესებს და პიროვნებებს.

საქართველოს მიმართ მხარდაჭერაზე საუბრობს აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი საქართველოში სტეფან გაისიც. ობამას გამარჯვების მეორე დღესვე მან „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში განაცხადა, რომ ახალი ადმინისტაციის მიერ საქართველოს მხარდაჭერა გაგრძელდება და არც ის გარემოება დაივიწყა, რომ ობამა ისევე როგორც სენატორი მაკქეინიც საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების მხარდამჭერები იყვნენ.

ამ კონტექსტში არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ აგვისტოს მოვლენების პირველსავე დღეებში საარჩევნო კამპანია მიატოვა და აშშ-ის ახალი ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი საქართველოში ჩამოვიდა.

ბაიდენი ჯერ კიდევ სენატორისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატობის რანგში საქართველოსთვის მილიარდიანი დახმარების გამოყოფის ინციატივით გამოვიდა და უფრო მეტიც – აღნიშნა, რომ აშშ-მა საქართველოს სტაბილურობისა და ეკონომიკის განვითარების საკითხში ვალდებულებები უნდა აიღოს. ბაიდენს არც ის გარემოება დაუფარავს, რომ რუსეთის ქმედება საქართველოს მიმართ, ეს იყო დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების დამხობის მიზნით დამოუკიდებელ ქვეყანაზე თავდასხმა.

ისე, საქართველოს გარეშეც რომ ვერ იქნება აშშ-რუსეთის ურთიერთობა ხავერდოვანი, იქიდანაც ჩანს, რომ ობამამ რუსეთს ჰამასის და ჰესბოლას დაფინანსების შეწყვეტაც მოსთხოვა. „რუსეთმა ისეთი ორგანიზაციების დაფინანსებაც უნდა შეწყვიტოს, როგორიცაა ჰამასი და ჰესბოლა, რადგან ისინი ისრაელს სერიოზულ საფრთხეს უქმნიან“, – განაცხადა აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, თეთრი სახლის ადმინისტრაციის პოლიტიკა არც ირანთან, კერძოდ კი მის ბირთვულ პროგრამასთან მიმართებაში შეიცვლება.

მოკლედ, საქმე ისეა, რომ ჟირინოვსკის პროგნოზით რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები „ყველა მიმართულებით და ყველა პოზიციით გაუმჯობესდებაო“, კრემლისთვის სასურველ დონეზე ვერ თავსდება. არადა, ვლადიმერ ვოლფოვიჩი ხომ მეტ წილად სწორედ კრემლის პოზიციებს ახმოვანებს.

აშშ-ის პრიორიტეტები, ფაქტობრივად უცვლელი რჩება, რომელშიც საქართველოსაც თავისი ადგილი აქვს.

გოჩა მირცხულავა,

ჯი-ეიჩ-ენი

◎ პოზიცია

ლევან ალექსიძე: უშიშროების საბჭოზე აფხაზეთში გაეროს მისიის სახელწოდების შეცვლაზე გადაწყვეტილებას მხარს აშშ და დიდი ბრიტანეთი არ დაუჭერენ

*სოხუმი გაეროსაგან აფხაზეთში განლაგებული გაეროს დამკვირვებელთა მისიისათვის — „საქართველოში გაეროს მისიის“ სახელწოდების „აფხაზეთში გაეროს მისიით“ შეცვლას დაჟინებით ითხოვს. გაეროს მისიის სახელწოდების შეცვლის ალბათობაზე, ჟენევის მოლაპარაკებაზე ქართული მხარის მოქმედების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე „ინტერპრესნიუსი“ საერთაშორისო სამართლის პროფესორს **ლევან ალექსიძეს** ესაუბრა.*

— ბატონო ლევან, აფხაზური მხარე დაჟინებით მოითხოვს აფხაზეთში მოქმედი საქართველოში გაეროს სამხედრო დამკვირვებლების სახელწოდების შეცვლას და აცხადებს, რომ სოხუმი გაეროს დამკვირვებლებს აფხაზეთიდან იმ შემთხვევაში გააძევებს, თუ მათ აფხაზეთში გაეროს მისია არ ერქმევა. ამ ფონზე რას შეიძლება ნიშნავდეს გაეროს გენმდივნის განცხადება იმის შესახებ, რომ აუცილებელია კავკასიაში გაეროს მისიების გადახედვა და არ გამოირიცხება მათი საქმიანობის ფორმატის შეცვლა?

— ჯერ ერთი, ძნელია განსაზღვრო რას გულისხმობს გენერალური მდივანი. ის კი საუბრობს გაეროს როლისა და ფორმატის გადახედვაზე, მაგრამ რა სახის გადახედვას გულისხმობს, ამის თქმა ძნელია. რაც შეეხება გაეროს მისიის სახელწოდების შეცვლას, დღევანდელ გადარეულ ევროპაში ყველაფერი მოსალოდნელია. ზოგიერთი ტენდენცია, რომელიც იკვეთება ევროპაში, ჩვენთვის არასასურველია და ვფიქრობ, რომ დასავლეთი გონს დროზე მოვა და მიხვდებიან ვისთან აქვთ საქმე.

რაც მთავარია, სახელწოდებას გაერო და თვითონ პან გი მუნი ვერ შეცვლიან. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ აფხაზეთში გაეროს მისიის სახელწოდების შეცვლაზე გადაწყვეტილება უშიშროების საბჭოს გარეშე ვერ მიიღება და არა მგონია, რომ უშიშროების საბჭოში აშშ და დიდი ბრიტანეთი ამ საკითხს მხარს დაუჭერენ. ამდენად, ეს არის უბრალოდ ნათქვამი, რომლის შინაარსი ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით.

უდავოა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდე-

ბლობა ნიკარაგუას და „ჰამასის“ გარდა არავინ არ სცნო და ამას ვერც გაერო იზამს, ვინაიდან იგი ვალდებულია დაიცვას ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.

თუ აფხაზეთში გაეროს მისიის სახელწოდება ისე შეიცვალა, როგორც ამას აფხაზური მხარე ითხოვს, გამოვა, რომ ეს რეგიონი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია, რაც საქართველოსთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

— ჟენევის მოლაპარაკებები ახლოვდება. მრავალი მიზეზის გამო ჟენევის პროცესის სირთულეებზე საუბრობენ. თქვენი აზრით, ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში ქართულმა მხარემ რა არ უნდა დაუშვას?

— მე ვერავითარ სირთულეს ვერ ვხედავ. თუ მოლაპარაკების მონაწილეები ევროკავშირი, ეუთო, გაერო ეყრდნობიან თავის გადაწყვეტილებებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ, არალეგალურად მიიჩნევენ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და იმას, რომ რუსეთმა უარი უნდა თქვას მის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯებზე, ასეთ ვითარებაში ჩვენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების პლენარულ სხდომაზე ერთ მაგიდასთან არ უნდა დავსხდეთ.

ჟენევაში არ უნდა დაუშვათ მოლაპარაკებების გამართვა ფორმულით — ევროკავშირი, ეუთო, გაერო, აშშ, რუსეთი, საქართველო, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. მოლაპარაკებათა ასეთი ფორმატი ჩვენს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავს და მოლაპარაკებების სხვა მონაწილენიც ამასვე აღიარებენ.

როდესაც მე ჟენევის ფორმატის ფარგლებში ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან, აფხაზეთის დელეგაციას მოლაპარაკებების პლენარულ სხდომაზე მონაწილეობა არ მიუღია. ამით ხაზი ესმებოდა იმას, რომ გაეროს მეგობარი ქვეყნები არ ცნობდნენ მათ დამოუკიდებლობას. აფხაზური მხარე ჟენევაში წარმოდგენილი იყო როგორც კონფლიქტის მხარე. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მონაწილეობა მხოლოდ სამუშაო ჯგუფებშია შესაძლებელია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მოლაპარაკებათა პლენარულ სხდომაზე.

— საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელმძღვანელობა შეიცვალა. მინისტრმა ვაშაძემ კი განაცხადა, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ვექტორი არ შეიცვლება, მაგრამ თქვენ რას ელით ახლადდანიშნული მინისტრისაგან?

— მივესალმები ამ ცვლილებას, ძალიან დიდ პატივს ვცემ ახალ მინისტრს და მიმაჩნია, რომ იგი საქმეს კარგად გაუძღვება. მე ასევე მივესალმები მის წინადადებას იმის შესახებ, რომ ირაკლი მენაღარიშვილი იქნება მისი მრჩეველი. მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ირაკლისთან, ვიცი მისი კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის შესახებ, რაც ჩვენ საქმეს მხოლოდ წაადგება.

კარგია, რომ გადაიხედება ელჩების საკითხები. მე ბევრი პრეტენზია მაქვს პრეზიდენტის მიერ შერჩეულ მრავალ ჩვენს ელჩთან, რომელთა ვინაობას არ დავასახელებ.

— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრმა პუტინმა თავის სატელევიზიო კითხვა-პასუხებში საქართველოზე საუბრისას თითქოს მოგვცა იმის ნიშანი, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით კარები ღიაა. თქვენ თუ გაიზიარებდით ამგვარ მოსაზრებას?

— მე იმის გარდა, რომ პუტინი საქართველოს პრეზიდენტს ერთი ორგანოთი დაკიდების გარდა კიდევ უარესს ჰპირდება, ვერაფერი დავინახე. ასეთი დიდი ქვეყნის მეთაურისაგან ამგვარი საუბარი, პირადად ჩემთვის შეურაცხმყოფელია.

არ ვიცი, რომელი ექსპერტები მიიჩნევენ, თითქოს კარები ღიაა. პუტინმა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ისე გადაჭრით თქვა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ შეიცვლებაო, რომ თუ დასავლეთმა არ აიძულა იგი, შეცვალოს გადაწყვეტილება, პუტინი ამ მიმართულებით არაფრის გამკეთებელი არ არის და რომ შეეძლოს, თბილისის მიმართულებითაც დაიძრებოდა.

კობა ბენდელიანი

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

ოპოზიციას საკრიტიკო ლექსიკაც ჩამოართვეს

გაერთიანებული ოპოზიცია დეკემბერში ახალ გაერთიანებას გვპირდება. თუმცა, ყოფილი გაერთიანებული ოპოზიცია ისე შეთხელდა, ვინც გაერთიანდა, იქ ახლა თითქმის არავინ არის. მართლაც გასაკვირია, რატომ ჰქვია მას მაინც გაერთიანებული, თუკი მუდმივად სულ იშლება. ასეა თუ ისე, ოპოზიციაში გადაჯგუფების პროცესი მიმდინარეობს და შესაძლოა ამ გაერთიანებაში სულაც ახალი სახეები გამოჩნდნენ.

მოგეხსენებათ, ქართულ პოლიტიკაში ბევრი რამ გამორიცხული არ არის. იმ ადამიანების ერთად ყოფნა, რომლებიც ახლა ერთად არიან, ან გაერთიანებას აპირებენ, ადრე წარმოუდგენელი იყო. პოზიციები შეაჯერეს ახალმა მემარჯვენეებმა და რესპუბლიკელებმა. ორივე პარტიაში აცხადებენ, რომ მათთვის მთავარია არა აუცილებლად ხელისუფლების სათავეში მოსვლა, არამედ კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა. მათი ოპონენტები კი ამბობენ, რომ რესპუბლიკელებისა და მემარჯვენეების გაერთიანება იმიტომ ხდება, რომ შემდეგ ბურჯანაძის ქოლგის ქვეშ აღმოჩნდნენ. ვისთან ითანამშრომლებს ყოფილი სპიკერი და რომელ ფრთას აირჩევს საკონტაქტოდ, ეს ცხადი თანდათან გახდება, ჯერჯერობით კი ექსპერთა ნაწილის აზრით, დღეს საქართველოში ერთადერთ სოლიდურ ოპოზიციურ პარტიად ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ შეიძლება ჩაითვალოს. ამის დამადასტურებლად ბურჯანაძის პარტიის ყრილობაზე მისული საზოგადოების სპექტრს ასახელებენ.

ყრილობის გამართვას ზურაბ ნოღაიდელიც აპირებს, თუმცა ბევრს ეეჭვება, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ახალი პოლიტიკური პარტია საზოგადოებაში ისეთ მხარდაჭერას მოიპოვებს, როგორც ეს ბურჯანაძემ შეძლო. თუნდაც იმიტომ, რომ ნოღაიდელისგან განსხვავებით, ბურჯანაძეს ყველა დასმულ შეკითხვაზე პასუხი მზად აქვს, ყოფილი პრემიერი კი ჯერჯერობით კითხვებს თავს არიდებს.

თუ დავაკვირდებით, დღეს საზოგადოებაში მოთხოვნა ზომიერ პოლიტიკურ ძალებზე ჩნდება, თუმცა, თავისი ადგილი ალბათ, რადიკალებსაც ექნებათ.

მას შემდეგ, რაც დაფუძნდნენ, ლეიბორისტები სულ ცალკე არიან. ეს სულაც არ გვიშლის ხელს იმაში, რომ ნამდვილ ოპოზიციასთან ვითანამშრომლოთო, — აცხადებენ ლეიბორისტები და რაიმე ბლოკში შესვლას ამჯერადაც არ გეგმავენ.

კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ასათიანი, ეროვნული ფორუმი... ვნახოთ, შეიქმნება თუ არა ამ სამი პარტიისგან ერთი გაერთიანება. საინტერესო აზრს ავითარებს სალომე ზურაბიშვილი. იგი ამბობს, რომ ოპოზიცია სამ ნაწილად არის დაყოფილი: პროდასავლელები, ეროვნულები და პოპულისტები. რაც შეეხება გაერთიანებული ოპოზიციის მიერ 10 დეკემბერს დანიშნულ ყრილობას, სალომე ზურაბიშვილის აზრით, ეს იგივე იქნება, რაც მათ მიერ შექმნილი პარალელური სტრუქტურები. „ხომ არ გინახავთ სადმე ეს პარალელური სტრუქტურები?“ — კითხულობს „საქართველოს გზის“ ლიდერი.



ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბაღათურია კი იმაზე წუხს, ოპოზიციური პარტიების ერთი ნაწილი სხვა ოპოზიციურ პარტიებთან კრიტიკასა და დაპირისპირებაში არიან ჩართულიო. ასეთ ვითარებაში ბაღათურია გამორიცხავს საზოგადოების მხრიდან იმ მხარდაჭერას, რაც მათ 2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს და შემდგომაც ჰქონდათ.

კრიტიკას რაც შეეხება, როგორც ექსპერტთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, ოპოზიციას საკრიტიკებელი არაფერი დარჩა. დღეს მთავრობაა თვითკრიტიკული და ოპოზიციას ასწრებს იმაში, რამაც ხალხზე გავლენა უნდა იქონიოს.

ერთი სიტყვით, ოპოზიციას ხელისუფლებამ საკრიტიკო ლექსიკაც ჩამოართვა, რის გამოც, დღეს ოპოზიცია არ გამოიყურება პროცესების ეფექტიან წარმმართველად, რაზეც ის პრეტენზიას აცხადებს.

მზია გელენავა

◎ ინფორმაცია

ნატო ყოველთვის შეასრულებს ბუქარესტის ვალდებულებებს

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სპეციალური წარმომადგენელი რობერტ სიმონსი აცხადებს, რომ ნატოს წევრობის ნაციონალური გეგმა MAP-ის ანალოგია.

სიმონსის თქმით, ჯერ კიდევ 1995 წელს ნატომ სპეციალური კვლევა ჩაატარა, რომლის თანახმადაც ალიანსში გაწევრების კრიტერიუმები ჩამოყალიბდა.

— ყოველწლიური ნაციონალური გეგმა სწორედ ამ კრიტერიუმების ბაზაზე შემუშავდება, — განაცხადა სიმონსმა.

ნატოს სპეციალურმა წარმომადგენელმა გამორიცხა მოსაზრება, თითქოს ალიანსმა ის რისკი გააცნობიერა, რომელიც საქართველოსა და უკრაინის გაწევრებას უკავშირდება.

სიმონსის თქმით, ნატო ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს ბუქარესტის ვალდებულებებს. რაც შეეხება MAP-ს, სიმონსი აცხადებს, რომ MAP-ის მიღება კონკრეტული ქვეყნების კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ პირველად ქართულად

ბარაკ ობამა

„იმედის შემართება“

რამდენიმე ამონარიდი იმ კაცის წიგნიდან, რომელსაც შეუძლია ამერიკისა და მთელი მსოფლიოს შეცვლა

მაგალითად, მე პატივს ვცემ კარგ მანერებს. თითოეული ბავშვი, რომელიც კარგი ენით ლაპარაკობს, მიმზერს თვალებში, მიპასუხებს „დიახ, სერ“, „გმადლობთ“, „გეთაყვა“, „მაპატიეთ“, მინერგავს ქვეყნის მომავლის რწმენას. ვფიქრობ, ასეთი მარტო მე არა ვარ. კარგი მანერების დამტკიცება კანონმდებლობით ჩემი ნება არ არის. მაგრამ როდესაც მივმართავ ახალგაზრდობას, უსათუოდ ვახსენებ ხოლმე მანერების მნიშვნელობას.

ასეთივე ფასი აქვს ჩემთვის ცოდნასაც. არ არის უფრო მეტი კმაყოფილება, როდესაც ხვდები ადამიანს, რომელიც ამაყობს თავისი სამუშაოთი, ან ისეთს, რომელიც უფრო მეტისკენ ისწრაფვის, იქნება იგი ბუღალტერი, სანტექნიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი თუ ტელეფონით მოსაუბრე, ვისაც ჭეშმარიტად სურს გაერკვეს თქვენს პრობლემებში. უკანასკნელ ხანებში ასეთი სასიხარულო შეხვედრები სულ უფრო იშვიათია: თითქოს მაღაზიაში ახლა უფრო დიდხანს ვეძებ, ვინ დამეხმარება, ან ველოდო სახლში, თუ როდის მოვა, ბოლოს და ბოლოს, კურიერი მიტანის სამსახურიდან. მე არა ვარ მარტო, ეს ყველას აღიზიანებს, ისინიც კი მთავრობასა და ბიზნესში, ვინც ვერ ამჩნევს ამგვარ ამბებს, დიდ რისკს ეწევიან (დარწმუნებული ვარ, თუმცა სტატისტიკა არ გამაჩნია, რომ ეს დავადასტურო: განწყობილება გადასახადების, მთავრობის, ყოველგვარი კავშირების წინააღმდეგ გაცილებით ძლიერდება ყოველთვის, როდესაც ხალხი რიგში დგება რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების მხოლოდ ერთადერთი ფანჯრის წინ და ამ დროს სამი-ოთხი კაცი იფხანს ენას ყველას თვალწინძ.

ეს პუნქტი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აყენებს პროგრესისტებს, ამიტომ არჩევნების დროს ასე ხშირად გვიწევს პოზიციების შემოწმება. ამას წინათ სიტყვით გამოვდიოდი კაიზერის ოჯახის ფონდში მის მიერ გამოქვეყნებულ გამოკვლევასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ ტელევიზიით ნაჩვენები სექსის რაოდენობა უკანასკნელ ხანებში გაორმაგდა. მე, ისევე როგორც ბევრი სხვაც, კმაყოფილებით ვუყურებ საკაბელო ტელევიზიის გადაცემებს და, პრინციულად, დიდად არ მაღელვებს, თუ კერძოდ რას არჩევენ უფროსი ასაკის ადამიანები. სხვა საქმეა, რომ მშობლებმა კონტროლი უნდა გაუწიონ, თუ რომელ გადაცემებს უყურებენ მათი ბავშვები და იმ ჩემს სიტყვაში ისიც კი ვთქვი, რომ ყველა მოიგებდა, თუ მშობლები — ღმერთო, დაგვიფარე! — გამორთავდნენ ტელევიზორს და უფრო მეტს ილაპარაკებდნენ ბავშვებთან.

ასეთი სულისკვეთების გამოთქმის შემდეგ გავაგრძელე და აღვნიშნე, რომ თავს ვგრძნობდი უხერხულად, როდესაც ერთხელ ფეხბურთს ვუყურებდი ტელევიზორში და ყოველ თხუთმეტი წუთის შემდეგ გადაცემას წყვეტდა რეკლამა პოტენციის გაძლიერების შესახებ, ამ დროს კი ოთახში ჩემი გოგონები თამაშობდნენ. გავიხსენე კიდევ ერთი პოპულარული შოუ მოზარდებისთვის, რომელშიც ახალგაზრდები, ეტყობა, გაურკვეველი საქმიანობის ახალგაზრდები, რამდენიმე თვის განმავლობაში თვრებოდნენ ადამიანის სახის დაკარგვამდე და შიშვლები ერთად ხტებოდნენ ერთ აბაზანაში, და ვთქვი, რომ ეს არაა ნამდვილი ცხოვრება. მე შევთავაზე საკაბელო და სამაუწყებლო ტელევიზიას, გამოიყენონ თავიანთი ტექნოლოგიების მთელი სიმძლავრე, რათა დაეხმარონ მშობლებს გააკონტროლონ, თუ კერძოდ რას უყურებენ მათი ბავშვები.

თქვენ, ალბათ, იფიქრეთ, რომ მე ვმოქმედებდი, როგორც კოტონ მატერი. ჩემი სიტყვის პასუხად ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, სადაც ამტკიცებდა, რომ მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ერეოდეს მაუწყებლობის რეგულირებას, თუმცა ამის შესახებ არც მითქვამს. რეპორტიორები წერდნენ, რომ მე ცინიკურად შემოვტრიალდი პირით ცენტრისკენ საერთოეროვნულ წინასაარჩევნო კამპანიაში წინასწარი წარმატებით კმაყოფილი. ოფისში მოდიოდა წერილები ჩვენი მომხრეებისგან საჩივრებით — ჩვენ ხმას გაძლევდით იმისთვის, რომ გამოსულიყავით ბუშის კურსის წინააღმდეგ, თქვენ კი აღმოჩნდით ბუზღუნა კრიტიკანი.


THE #1 NEW YORK TIMES BESTSELLER
БАРАК ОБАМА
Барак Обама относится к тем редким политикам, которые действительно обладают способностью писать волнующе и искренне...
The New York Times
Дерзость надежды
КНИГА ЧЕЛОВЕКА, КОТОРЫЙ МОЖЕТ ИЗМЕНИТЬ АМЕРИКУ И ВЕСЬ МИР!

მაგრამ ყველა ჩემი ნაცნობი მშობელი, იქნებოდნენ ისინი ლიბერალები თუ კონსერვატორები, ჩიოდა იმაზე, რომ კულტურა უფრო უხეში გახდა, პრიმიტიული, რომ ის ეწევა უწინარეს ყოვლისა მატერიალური ფასეულობებისა და ნებისმიერი ძალისხმევის დაუყოვნებლივი დაჯილდოების, ინტიმურობის საპირისპირო აგრესიული სექსუალობის პროპაგანდას. შეიძლება, იმათ არც სურთ სახელმწიფო ცენზურის შემოღება, მაგრამ უნდათ, რომ მათი შეშფოთება შენიშნონ, რომ გაითვალისწინონ მათი აზრი. როდესაც იმის სურვილით, რომ არ მიიჩნიონ ძველმოდურ რეტროგრადებად, პროგრესული პოლიტიკოსები უარს ამბობენ პრობლემის აღიარებაზეც კი, მშობლები შემობრუნდებიან მათკენ, ვინც ამას გააკეთებს, იმ ლიდერებისკენ, რომლებიც წმინდა გულის ფანცქალის გარეშე ეპყრობა კონსტიტუციის დებულებებს.

კონსერვატორებსაც ჰყოფნით თავიანთი შეცდომები, როდესაც საქმე შეეხება პრობლემებს კულტურის დარგში. ავიღოთ თუნდაც ოფისის მუშაკთა შრომის ანაზღაურება. 1980 წელს საშუალოსტატისტიკური აღმსრულებელი დირექტორი ორმოცდაორჯერ მეტს იღებდა, ვიდრე საშუალოსტატისტიკური მუშა. 2005 წლისთვის ამ შეფარდებამ მიაღწია ორასსამოცდაორმა ერთთან. კონსერვატორების ბანაკი, ვისაც ეკუთვნის „უოლ-სტრიტ ჟორნალის“ რედაქციაც, ამართლებს ამ ასტრონომიულ თანხებს და გიგანტურ სააქციონერო წილს ნიჭიერი ხელმძღვანელების მოზიდვის აუცილებლობით და დაჟინებით ამტკიცებს, რომ ქვეყნის ეკონომიკა უკეთ ფუნქციონირებს, როდესაც საჭესთან დგანან მსუქანი და ლამაზი ტოპ-მენეჯერები. მაგრამ ხელმძღვანელი რგოლის შემოსავლების ასეთი მკვეთრი ზრდა არაფრით არაა დაკავშირებული ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან. საქმე სულ სხვაგვარადაა — ყველაზე მაღალანაზღაურებადმა ხელმძღვანელებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში დაუშვეს სერიოზული ჩავარდნები თავიანთი კომპანიების შემოსავლების ზრდაში, მათი აქციების ღირებულების შემცირება, მასობრივი გათავისუფლებები, საპენსიო ფონდების მოცულობების შემცირება.

ხელმძღვანელობის შემოსავლების ზრდა განპირობებულია სრულიადაც არა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებით, არამედ კულტურით. იმ დროს, როდესაც საშუალოსტატისტიკური მუშების შემოსავლები პრაქტიკულად არ იზრდება, ხელმძღვანელი რგოლის ბევრი წარმომადგენელი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე იჯიბავენ ყველაფერს, რის ნებასაც მათ აძლევენ კორპორაციების მოშინაურებული საბჭოები. ამერიკელებს ესმით, თუ რამდენად დამღუპველია ანგარების ასეთი ეთიკა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის; ერთ-ერთ ამასწინანდელ მიმოხილვაში მათ კორუფციას სახელმწიფო სტრუქტურებსა და ბიზნესში, ანგარებას და სწრაფვას მატერიალური კეთილდღეობისკენ უწოდებს სამიდან ორი ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომლებიც სახელმწიფოს წინაშე დგას (პირველი აღმოჩნდა ბავშვების აღზრდა ღირებულებათა სწორ სისტემაშიძ. კონსერვატორები, შეიძლება მართლებიც არიან, როდესაც მოითხოვენ, რათა მთავრობა არ ჩაერიოს სისტემაში, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელების შრომის ანაზღაურებას. მაგრამ ამავე დროს კონსერვატორებს ერჩიათ თუნდაც გამოეთქვათ საწინააღმდეგო აზრი შეუფერებელი ქცევის გამო დირექტორთა საბჭოების სხდომებზე ისეთივე სამართლიანი რისხვით, როგორც თავს ესხმიან ხოლმე ისინი რეპის ულირს ქცევებს.

რასაკვირველია, ყველაფრის თქმა არ შეიძლება „ამვონიდან“, როგორც ზოგჯერ პრეზიდენტის პოსტს უწოდებენ. ზოგჯერ მხოლოდ კანონს შეუძლია დაიცვას სრულად ჩვენი უფლებები, კერძოდ, როცა საქმე შეეხება უსუსურ ადამიანთა უფლებებსა და შესაძლებლობებს ჩვენს საზოგადოებაში. იგივე შეეხება ბრძოლას რასობრივ დისკრიმინაციასთან; „ჯიმ კროუს ეპოქის“, ესე იგი ზანგების დისკრიმინაციის დასასრული, და რასათაშორისი ურთიერთობების ახალი ეტაპის დასაწყისი აღინიშნა საქმით „ბროუნი განათლების საკითხების საბჭოს წინააღმდეგ“, რომელიც განხილული იქნა უმაღლეს სასამართლოში კანონით „სამოქალაქო უფლებების შესახებ“ 1964 წელს, აგრეთვე კანონით „საარჩევნო უფლებების შესახებ“ 1965 წელს. ეს კანონები დიდხანს განიხილებოდა და იყვნენ ისეთები, ვინც დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ მთავრობა არ უნდა ჩაერიოს სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრებაში, თითქოს არც ერთ კანონს არ შეეძლოს აიძულოს თეთრკანიანები გაერთიანდნენ შავკანიანებთან. როდესაც ასეთ დასკვნებს ისმენდა, მარტინ ლუთერ კინგმა შენიშნა: „რასაკვირველია, კანონი არ აიძულებს ადამიანს ვუყვარდე მე, მაგრამ, იქნებ, ლინჩის წესით მეც არ დამსჯის, ეს კი, ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანია“.

ისეთი საზოგადოების აშენებისთვის, როგორიც ჩვენ გვინდა, ზოგჯერ საჭიროა კულტურული ტრანსფორმაციაც, და მთავრობის მოქმედება, ესე იგი ცვლილებანი ღირებულებათა სისტემაში, და პოლიტიკურ სტრატეგიაში. ავიღოთ თუნდაც სკოლების მდგომარეობა ჩვენი ქალაქების ღარიბ რაიონებში. შეიძლება დახარჯო უამრავი ფული, მაგრამ ბავშვები უკეთ არ ისწავლიან, სანამ მშობლები არ ასწავლიან მათ შრომისმოყვარეობას და მოცდას ჯილდოს მიღებაში. მაგრამ თუ ჩვენ, მთელი საზოგადოება ვიქცევით ისე, რომ ბავშვები ღარიბი რაიონებიდან თითქოს შეძლებენ გამოავლინონ თავიანთი უნარი ბინძურ და დანგრეულ სკოლებში, სადაც მოწყობილობა დიდი ხანია მოძველდა, მასწავლებლებმა კი ზოგჯერ ხეირიანად არც იციან თავიანთი საგნები, მაშინ ჩვენ უსინდისოდ ვატყუებთ ამ ბავშვებსაც და საკუთარ თავსაც. ჩვენ ვლალატობთ ჩვენს ღირებულებებს. აი რატომაა, რომ, როგორც წარმომიდგენია, მე ვარ დემოკრატიულ პარტიაში — მე მამოძრავებს აზრი, რომ ჩვენმა საერთო ღირებულებებმა, ჩვენი ურთიერთპასუხისმგებლობისა და ერთიანობის გრძნობებმა უნდა პოვონ გამოხატულება არა მხოლოდ ეკლესიაში, მეჩეთში ან სინაგოგაში, არა მხოლოდ რაიონში, სადაც ჩვენ ვცოცხლობთ, არა მხოლოდ ოჯახში, არამედ ხელისუფლებაშიც. როგორც ბევრ სხვას, მჯერა, რომ კულტურის ძალა მრავალმხრივ განსაზღვრავს პიროვნების წარმატებას და საზოგადოების შეკრულობას და მიმაჩნია, რომ ამ ფაქტის უგულებელყოფა მეტად სახიფათოა. მაგრამ ვფიქრობ იმასაც, რომ ჩვენს მთავრობას შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი კულტურის შეცვლაში უკეთესობისკენ... ანდა უარესობისკენ.

ხშირად ვფიქრობ, რატომაა, რომ პოლიტიკოსებს ასე უჭირთ საუბარი ღირებულებითს ცნებებზე, ადამიანური ენით. შეიძლება, იმიტომ, რომ ბევრი ჩვენგანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში იქცევა წინასწარ დაწერილი სცენარის მიხედვით, ხერხიც კი, რომელსაც მიმართავენ კანდიდატები თავიანთი ღირსების წარმოსაჩენად, იმდენად წინასწარგანჭვრეტილია, რომ ადამიანებს სულ უფრო უჭირთ გაარჩიონ, სადაა გულწრფელი აღტყინება და სადაა პოლიტიკური თამაშები.

ვერსად გაექცევი იმ ფაქტს, რომ პოლიტიკას ჩვენს დღეებში თავად არ გააჩნია რაიმე ღირებულება. პოლიტიკური ცხოვრება (და მისადმი კომენტარებიძ არა მხოლოდ ნებას რთავს, არამედ ხშირად მიესალმება კიდეც ქცევას, რომელსაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ჩათვლიდით სკანდალურად: ისტორიის გამოწოვა თითებიდან, შენი მოწინააღმდეგის მიერ ნათქვამის დამახინჯება, მოქმედებათა მოტივებში გამანადგურებელი კრიტიკა ან სერიოზული ეჭვის შეტანა, სხვის ცხოვრებაში უხეში შეჭრა კომპრომატების საძებნელად.

ვთქვათ, ჩემი ამერიკის შეერთებული შტატების სენატში წინასაარჩევნო კამპანიის დროს ჩემმა ოპონენტმა — რესპუბლიკელმა დაიქირავა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ფარული კამერით იღებდა ყველა ჩემს გამოჩენას პუბლიკაში. თავად ამ ხერხში დიდი ხანია არაფერია ახალი, მაგრამ ან ახალგაზრდა კაცმა გადააჭარბა, ან მიიღო მითითება, რომ მოახდინოს ჩემი პროვოცირება, მისი მუშაობა სულ უფრო და უფრო დაემსგავსა დევნას. დილიდან საღამომდე დამდევდა იგი მე, როგორც მიწებებული, ერთი ხელის გაწვდომაზე. ის იღებდა, თუ როგორ ჩავდიოდი ლიფტით. იღებდა, როგორ გამოვდიოდი ტუალეტიდან. იღებდა, როგორ ვესაუბრებოდი მობილური ტელეფონით ჩემს ცოლსა და ქალიშვილებს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 218, 220, 227.

◎ სოფელო, მიტოვებულო...

თავისუფალი ვაჭრობა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ...

როგორღა გაუწევს ჩვენი ფერმერი კონკურენციას ევროპელ ფერმერს, როცა სახელმწიფოსგან არანაირი ყურადღება და დახმარება არა აქვს?

ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას, ექსპერტთა აზრით, გაზაფხულზე მოეწერება ხელი, მაგრამ ვართ კი მზად იმისათვის, რომ ჩვენი პროდუქცია ევროპულ სტანდარტებს შეესაბამებოდეს და რა უნდა გაკეთდეს საამისოდ?

*ამაზე გვესაუბრება ექსპერტი სოფლის მეურნეობის საკითხებში **გიორგი გავაშელიშვილი**, რომელიც კარგად იცნობს დასავლეთ ევროპის ქვეყნების აგრარულ პოლიტიკას და, ამის გამო, ვფიქრობთ, მისი მოსაზრებები საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.*

— ბატონო გიორგი, ვიდრე ევროკავშირის ერთიან აგრარულ პოლიტიკაზე ვისაუბრებდეთ, იქნებ მოკლედ მოუთხროთ მკითხველს ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის, შექმნის ძირითად წინაპირობებზე?

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის მოსახლეობა სურსათის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. მრეწველობას უჭირდა, რის გამოც ქალაქში სამუშაო ადგილები არ იყო. მოსახლეობის დიდი ნაწილიც სოფლად ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობას მისდევდა. ამიტომაც თავიდანვე იქცა სოფლის მეურნეობა ევროპის ქვეყნების ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგად. მაგრამ ქალაქის მაღალი სახელფასო ტარიფები სოფლის მოსახლეობას მაინც ქალაქისკენ მიჰყავდა. ჭკვიანი ადამიანები მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს პროცესი უეჭველად სოფლის დაცარიელებით დამთავრდებოდა, ამიტომ გადაწყდა სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.

50-იან წლებში გერმანიამ უარი თქვა აგრარული სექტორის განვითარების საბაზრო ეკონომიკურ პრინციპებზე და ისეთი ძირითადი საკვები პროდუქტების წარმოებისთვის, როგორიცაა მარცვლეული, ხორცი, ცხიმი, რძე და შაქარი, **შემოიღო ბაზრის რეგულირების სახელმწიფო წესები.**

ალბათ გასაგებია, რას ნიშნავს ეს, მაგრამ მაინც განვმარტავ: ამ პროდუქტებზე ფასები შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვრებში. სურსათის იმპორტისა და მარაგების ოდენობას სახელმწიფო არეგულირებდა. საკუთარი ბაზრის დასაცავად შემოტანილ სურსათზე საბაჟო გადასახადები იყო დაწესებული. ფერმერთა შემოსავლების გასამყარებლად წარმოების ზოგიერთი საშუალებისთვის (მინერალური სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, დიზელის საწვავიძ სახელმწიფო სუბსიდიებს (ფულად დახმარებებსძ გასცემდა.

ასეთი პოლიტიკის მიუხედავად, 50-იანი წლების ბოლოს არასასოფლო-სამეურნეო დარგებში დასაქმებულთა შემოსავლებმა მაინც მნიშვნელოვნად გადააჭარბა ფერმერთა შემოსავლებს (ეს დღესაც ასეა ბევრ ქვეყანაში, რადგან არსებითად სასოფლო-სამეურნეო წარმოება ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული და, ზოგადად, დაბალი რენტაბელობით გამოირჩევაძ.

— რა ღონისძიებები განახორციელა სახელმწიფო სტრუქტურამ ამის შესატყვისად?

— იმისათვის, რომ ფერმერებს თავი არ დაენებებინათ სოფლის მეურნეობისთვის და ქალაქში არ გადმოსულიყვნენ, სადაც სამუშაო ადგილები ისედაც შეზღუდული იყო, აგრეთვე სურსათის დეფიციტმა და ბაზრების სტაბილიზაციისკენ სწრაფვამ, უბიძგა ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგიძ, 1975 წელს შეექმნათ ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკა, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ევროპის ეკონომიკური კავშირის – დღევანდელი ევროკავშირის ჩამოყალიბებას.

შეიძლება ითქვას, რომ გამიზნული აგრარული პოლიტიკის წყალობით შესძლეს ომისგან დანგრეულმა ევროპის ქვეყნებმა უკვე 70-იან წლებში მარცვლეულის, ხორცისა და რძის ჭარბწარმოება.



— რას აკეთებს ევროკავშირი ბაზრის დასაცავად?

— შემოტანილ პროდუქტებზე დაწესებული აქვს მუდმივი და ცვალებადი საბაჟო გადასახადები. მათი დანიშნულებაა, გააძვიროს უფრო იაფი იმპორტული სურსათი და ამით დაიცვას საკუთარი აგრობაზარი გარე კონკურენციისგან. ცვალებადი საბაჟო გადასახადები კი იცავს შიდა ბაზარს ფასთა ცვლილებისგან.

ევროკავშირი მიმართავს საექსპორტო სუბსიდიებსაც.

— რა არის მისი არსი?

— როდესაც ევროპის რომელიმე ქვეყანა საჭიროზე მეტ საკვებს აწარმოებს, აუცილებელი ხდება მათი საზღვარგარეთ გატანა-გაყიდვა, მაგრამ შიდა ბაზარზე ფასები, მსოფლიო ბაზრის ფასებთან შედარებით, უფრო მაღალია, და პროდუქტის გასასაღებლად საჭიროა ფასების შემცირება. ხოლო, რათა ფერმერებმა ამით არ იზარალონ, ევროგაერთიანებას დაწესებული აქვს ე. წ. საექსპორტო სუბსიდიები. ეს ნიშნავს, რომ ფერმერი ევროკავშირის აგრარული ბიუჯეტიდან კომპენსაციის სახით მიიღებს ფასდაკლების ტოლფას თანხას.

— გარდა ფასების რეგულირებისა, სხვა რა ღონისძიებებს მიმართავს ევროკავშირი თავისი ფერმერების სასარგებლოდ?

— არსებობს პროდუქტის იმპორტის აკრძალვა, ან შეზღუდვა. იგი ამ ინსტრუმენტს იყენებს შიდა და გარე ბაზრებზე არსებული სიტუაციების შესაბამისად და ასე უწყობს ხელს საკუთარი პროდუქციის ფასების სტაბილიზაციას. გარდა ამისა, ევროკავშირის სახელმწიფოების უმეტესობა პირდაპირ ერევა აგრარული ბაზრის რეგულირებაში, ახდენს ინტერვენციას.

— ეს რას ნიშნავს?

— სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მრავალ სახეობაზე დაწესებული აქვს გარანტირებული მინიმალური ფასები, რომელთა სიდიდეც პროდუქტების თვითღირებულების ფარგლებში მერყეობს. თუ პროდუქტის საბაზრო ფასი სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ფასამდე, ანუ თვითღირებულებამდე შემცირდა, სახელმწიფო თვითონ შეისყიდის პროდუქტს ამ ფასად და ამით გადაარჩენს ფერმერს ზარალისგან. ფაქტობრივად, სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ფასით ხელოვნურად ფიქსირდება საბაზრო ფასის ქვედა დონე, ანუ ფერმერი დაზღვეულია ფასის ვარდნით მოსალოდნელი ზარალისაგან.

— მინიმალური სახელმწიფო ფასები ყველა პროდუქტზეა დაწესებული?

— არა, საკვები პროდუქტების მხოლოდ 70 პროცენტზე. ასეთია: მარცვლეული, შაქარი, რძის პროდუქტები, ხორცი, ხილი, ბოსტნეული, ღვინის ზოგიერთი სახეობა და სხვა.

აგრარული სექტორის ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირს ასევე დაწესებული აქვს სუბსიდიები და ფულადი დახმარებები. სუბსიდია შეიძლება გაიცეს როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის, ისე წარმოების საშუალებების შეძენისთვის. თქვენ წარმოიდგინეთ, იგი ეძლევა სურსათის მომხმარებლებსაც.

— პროდუქტის მომხმარებლებს როგორ ეძლევათ სუბსიდიები? ეს ძალიან საინტერესოა.

— იგი ეძლევათ არა უშუალოდ მომხმარებლებს, არამედ სურსათით მოვაჭრეებს, რითაც თავიდან იცილებენ შესყიდვა-გაყიდვის დროს სურსათის შემდგომ გაძვირებას. ასეთი მექანიზმით საბოლოოდ ხომ მომხმარებული რჩება მოგებული?

— ვერც წარმოვიდგენდი, თუ სადმე ასეთი აწყობილი აგრარული სისტემა არსებობდა...

— გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, ევროკავშირი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის სტრუქტურის, გარემოსა და სოციალური სფეროს განვითარებას. ფერმერებისთვის ამ მიზნით არსებობს მრავალი შეღავათი და დახმარება. ბევრს მოსწონს ეს სისტემა, ბევრს – არა, მაგრამ ფაქტი ასეთია – დღეს მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყანა აგრარულ სექტორში ატარებს (ან წარსულში ატარებდა, შემდგომ კი შეარბილაძ პროტექციონისტულ პოლიტიკას.

— ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ რა გვეშველება? ჩვენს ქვეყანას ამ მხრივ რა შანსები აქვს?

— მიმაჩნია, რომ საქართველოს საერთოდ არა აქვს აგრარული პოლიტიკა და ჩვენი აგრარული სექტორი მხოლოდ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეფუძნება.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, თავისთავად, ბრწყინვალე მოდელია, მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა ყველა კონკურენტი მის პრინციპებს აღიარებს. ჩვენი ფერმერები კი არათანაბარ კონკურენტულ პირობებში იმყოფებიან უცხოელ ფერმერებთან შედარებით და ამიტომ იჩაგრებიან.

— თქვენი აზრით, სახელმწიფომ, უპირველესად, რა უნდა გააკეთოს?

— თუ ხელისუფლებამ ნაწილობრივ მაინც არ შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობას, ჩვენი პროდუქცია ყოველთვის არაკონკურენტუნარიანი იქნება, ხოლო დაზარალებულ ფერმერებს არ ექნებათ საარსებო საშუალება, საბოლოოდ, შეუძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ეს მხარდაჭერა უნდა მოხდეს გამიზნულად, დარგის გარკვეულ დონემდე განსავითარებლად, შემდეგ აუცილებელი გახდება ხელშემწყობი და დამცავი მექანიზმების გაუქმება. ჩვენს ქვეყანას ამის შანსი ნამდვილად აქვს.

ესაუბრა
ნაზი იმნაიშვილი.

◎ ინფორმაცია

ურწმუნო სიამის ტყუპები პატრიარქის დაკრძალვას დაესწრებიან

აფხაზეთის და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმების ლიდერები სერგეი ბაღაფში და ედუარდ კოკოითი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის დაკრძალვის ცერემონიას ესწრებიან. მეტიც, საქართველოს მეამბოხე რეგიონების ლიდერები ალექსი II-ის დაკრძალვაზე დასწრებას თავის ვალად მიიჩნევენ.

— ეს დიდი სიმწარეა ყველა ჩვენგანისთვის, არ შემიძლია დაკრძალვას არ დავესწრო, — განაცხადა სერგეი ბაღაფშმა.აფხაზ სეპარატისტთა ლიდერთან ერთად მოსკოვში ასევე გაემგზავრა სოხუმისა და აფხაზეთის ე. წ. ეპარქიის მმართველი ბესარიონ აპლია.

რუსეთის დედაქალაქში მყოფი ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი კი აცხადებს, რომ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის გარდაცვალება დიდი დანაკარგია ოსი ხალხისათვის და შეუძლებელია, ის პატრიარქის დაკრძალვას არ დასწრებოდა.

„სოხუმი“ ახალ წელს რუსეთის საელჩოთი შეხვდება

აფხაზეთში რუსეთის საელჩო მუშაობას 2009 წლის დასაწყისში დაიწყებს.

როგორც „ინტერფაქსი“ იუწყება, ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა.

მისივე თქმით, შენობის აშენებამდე საელჩოს დროებითი განთავსების საკითხი წყდება.

— მიმდინარეობს მოლაპარაკებები რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან, რათა დიპლომატიურ მისიას ფართი მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო სანატორიუმ „სოხუმში“ გამოუყონ. ახალი შენობის მშენებლობა ახალი წლიდან დაიწყება, — განაცხადა შამბამ.

აღნიშნულ სანატორიუმში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლობა იყო განთავსებული.

რუსეთის არმიას „დესეთელი“ წვევამდელები გამოაკლდება

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები რუსულ არმიაში არ იმსახურებენ.

როგორც ოსური რადიო იუწყება, ამის შესახებ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ ვასილი სმირნოვმა განაცხადა.

— აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ წვევამდელებს, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობა აქვთ, რუსეთის შეიარაღებულ ძალებში არ გაიწვევენ, რამდენადაც ისინი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ. თუ ისინი რუსეთში ჩამოვლენ, სამხედრო აღრიცხვაზე უნდა დადგნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გაიწვევენ არმიაში, — აღნიშნა სმირნოვმა.

რუსეთის არმიაში საშემოდგომო გაწვევა მიმდინარეობს, რომელიც 30 დეკემბერს დასრულდება.

ინტერპრესნიუსი და ხმ-ეიჩ-ენი

◎ იუბილე

დიდთა თბილისელ სომეხთაგანაც გამორჩეული

აკადემიკოს ვიქტორ ამბარცუმიანის 100 წლისთავი

„Почти все великие армяне родились в Тбилиси — ასე დაუწყია, ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სიმართლით, აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძეს გამოსვლა ერევანში, მსოფლიო სახელის სომეხი ასტროფიზიკოსის ვიქტორ ამბარცუმიანის 100 წლისთავის ზეიმობაზე. დაუწყია და პირველივე ფრაზით მოუწყვეტავს დამსწრეთა ტაში. ბატონი ჯუმბერის გამოსვლას ქვემოთ მივუბრუნდეთ, ახლა კი სახელგანთქმულ იუბილარზე ვისაუბროთ.

ის ტფილისში დაიბადა 1908 წლის 18 სექტემბერს.

მამამ ამაზასპ ამბარცუმიანმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, სომხურად თარგმნა ჰომეროსის „ილიადა“, ბაირონი, ჰაინე, ლერმონტოვი, გორკი, იყო ოთხტომიანი რუსულ-სომხური ლექსიკონის ერთ-ერთი შემდგენელი; დედას — წარმოშობით ცხინვალელ რიფსიმე ხახანიანს, განათლებულ ქალს, მშვენივრად სცოდნია ქართული ენა.

მრავალმხრივ ერუდირებულმა ინტელიგენტმა მამამ ადრევე შენიშნა ვაჟიშვილის არაჩვეულებრივი ნიჭიერება, ზუსტი მეცნიერებისადმი მომეტებული ინტერესი და ხელი შეუწყო მის სწორ აღზრდას.

12 წლის ვიქტორს ხელში ჩაუვარდა წიგნი „ციური მნათობები“, რომელშიც პოპულარულად და მიმზიდველად აღიწერებოდა სამყაროს მოწყობა და ასტრონომიის უახლესი მიღწევები („ამ წიგნმა მომიზიდა არჩევანიო“, იტყვის შემდეგომ დიდი სწავლული). 14 წლის მოზარდი უკვე გამოდიოდა ლექციებით ასტრონომიასა... და ფარდობითობის თეორიაში! ნორჩი ლექტორის გაოცებულ და აღტაცებულ მსმენელთა შორის გახლდათ ოვანეს თუმანიანიც...

1924 წელს ვიქტორი ლენინგრადს მიემგზავრება და უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შედის.

თეორიული კვლევის იშვიათი უნარი ვიქტორმა სტუდენტობის წლებშივე გამოამჟღავნა, რომელ ხანასაც განეკუთვნება 16 (!) მეცნიერული შრომა სწრაფად განვითარებად დარგში — თეორიულ ასტროფიზიკაში (აქვე სათქმელად — ვიქტორ ამბარცუმიანი ამ დარგის ფუძემდებლადაა მიჩნეული უზარმაზარ ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში).

ასპირანტურის კურსი გაიარა პულკოვოს ობსერვატორიაში აკადემიკოს ა. ბელოპოლსკისთან. ასპირანტურადამთავრებულმა მკვლევარმა უნივერსიტეტში დაიწყო თეორიული ასტროფიზიკის კურსის კითხვა — პირველად სსრ კავშირში. 1934-ში ის პულკოვოდან მთლიანად გადაერთო ლენინგრადის უნივერსიტეტში მუშაობაზე და იქვე დააარსა ქვეყანაში ასევე პირველი ასტროფიზიკის კათედრა, რომელმაც სამომავლოდ არაერთი ცნობილი სპეციალისტი მოამზადა.

ლენინგრადის პერიოდი ვიქტორ ამბარცუმიანისთვის მეცნიერულად განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა: გაზოვანი ნისლეულებისა და არასტაციონარული ვარსკვლავების მნიშვნელოვანი გამოკვლევები, ვარსკვლავურ სისტემათა სტატისტიკური მექანიკის საფუძვლების ჩაყრა, რასაც კოსმოგენური მიმართულება ჰქონდა — აქ მტკიცდებოდა, რომ ვარსკვლავები გალაქტიკაში შედარებით სწრაფად ვითარდებიან, თვით გალაქტიკას კი 10 მილიარდ წელზე მეტი ასაკი არა აქვს, რაც დაახლოებით ათასჯერ ნაკლებია, ვიდრე მანამდე ეგონათ!

ვარსკვლავური და პლანეტარული ატმოსფეროების შესწავლისას მან შეიმუშავა ახალი მეთოდები გამოსხივების გადატანის თეორიაში, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰპოვეს არა მარტო ასტროფიზიკაში, არამედ ფიზიკისა და მათემატიკის რამდენიმე მიმართულებითაც.

1944-ის ზაფხულში ერევანში გადასახლდა მთელს ოჯახთან ერთად (მშობლებით, ცოლითა და ოთხი შვილით), სადაც ჯერ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გახდა, შემდეგ კი — პრეზიდენტი. რამდენიმე წელიწადში ვიქტორ ამბარცუმიანი ინიშნება მისი თაოსნობით აშენებული ბიურაკანის ობსერვატორიის დირექტორად.

ლენინგრადის უნივერსიტეტსა და ბიურაკანის ობსერვატორიაში მეცნიერულმა მოღვაწეობამ ვიქტორ ამაზასპიძეს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. 1953 წელს ის აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის („დიდი აკადემიის“) ნამდვილ წევრად, შემდეგ კი სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით მეცნიერებათა აკადემიისა თუ სამეცნიერო საზოგადოების წევრად. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი. საყოველთაო დიდებით შემოსილს 1996 წლის აგვისტოში უწია აღსასრულმა. დაკრძალულია საპატიო ადგილას ბიურაკანში, დიდი ტელესკოპის კოშკის მახლობლად.

ვიქტორ ამაზასპის ძეს მუდამ ახსოვდა თავისი თბილისური წარმომავლობა და „ქართველობა“. პირადი ხანგრძლივი მეგობრობა და გამორჩეულად თბილი დამოკიდებულება აკავშირებდა თბილისელ კოლეგასთან, გამოჩენილ ქართველ ასტროფიზიკოსთან, აკადემიკოს ევგენი ხარაძესთან. მის მრავალ მოწაფესა თუ მიმდევარს შორის იყვნენ ცნობილი ქართველი სპეციალისტები მიხეილ ვაშაკიძე, შალვა გორდელაძე და სხვები. ზოგიერთ მათგანს დიდ მასწავლებელთან ერთობლივი შრომებიც აქვს გამოქვეყნებული.

აკადემიკოსები: ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, ვიქტორ ამბარცუმიანი

გვესაუბრება სმეა-ის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ჯუმბერ ლომინაძე:

— სომხეთის დედაქალაქში და მსოფლიოს ერთ-ერთ ასტროფიზიკურ ცენტრში, ბიურაკანის ობსერვატორიაში მართლაც რომ ღირსეულად აღინიშნა XX საუკუნის დიდი ასტროფიზიკოსის ვიქტორ ამბარცუმიანის 100 წლისთავი.

საიუბილეო ღონისძიებები ზედიზედ მოეწყო სომხეთის მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიის პრეზიდიუმში, ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ზეიმობაზე ჩამოსულ უამრავ სტუმარს შორის გახლდნენ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, შვედეთის მეცნიერებათა აკადემიების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ჩვენი აკადემიიდან წარგზავნილი ვიყავით აკადემიკოსი ნიკოლოზ ვახანია, წევრ-კორესპონდენტი როლან კილაძე და მე.

ერევანში საიუბილეო სხდომებამდე ვიქტორ ამბარცუმიანის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა ბიურაკანის ობსერვატორიაში, სადაც მეცნიერული მოხსენებები წაიკითხეს ქართველმა ასტროფიზიკოსებმა ნინო ყოჩიაშვილმა, რევაზ ნაცვლიშვილმა და გიორგი ჯავახიშვილმა. იქვე მეც წარმოვთქვი სიტყვა ვიქტორ ამბარცუმიანზე.

აკადემიკოსები ვიქტორ ამბარცუმიანი და ჯუმბერ ლომინაძე

სომხებმა ამიერკავკასიელთათვის ჩვეული ჩინებული მასპინძლობა გაგვიწიეს, კარგი ყოფითი პირობები შეგვიქმნეს, ღირსშესანიშნავ ადგილებში შთამბეჭდავი ექსკურსიები მოგვიწყვეს.

აკადემიის პრეზიდიუმში შემდგარ გაფართოებულ სხდომაზე მეც გამოველი და ეს არ იყო ტრადიციული მისალმება. დავიწყე ფრაზით — თითქმის ყველა დიდი სომეხი თბილისშია დაბადებული-მეთქი. საგანგებოდ შევეხე იუბილარის ცხოვრების თბილისურ ხანას, ეკრანზე იმ ფერადი დეპოზიტივების დემონსტრირებით, რომლებიც სპეციალურად გადავიღე და გავამზადე ერევანში გამგზავრების წინ. ვუჩვენე ის ადგილები, ვიქტორ ამბარცუმიანის სახელს რომ უკავშირდებიან — ქუჩა, სახლი, უბანი, სკოლა...

გადაუჭარბებლად გეტყვით: ჩემმა გამოსვლამ დამსწრეთა ისეთი აქტიური რეაგირება, იმგვარი ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რომ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ერიკ მარტიროსიანმა შემომთავაზა სახელოვან თანამემამულეზე რუსულად წიგნის დაწერა აკადემიის ხარჯზე დასტამბვის პირობით.

ბანკეტზე, რომელზეც სომხეთის პრემიერ-მინისტრიც მობრძანდა და სუფრასაც უთამადა, ბატონმა ერიკმა ერთხელ კიდევ მთხოვა სიტყვის წარმოთქმა და შემოთავაზებაცა და პირობაც საჯაროდ გაიმეორა. მთავრობის მეთაურმა დაადასტურა — თქვენ ოღონდ დაწერეთ და აუცილებლად გამოგიცემთო, მითხრა.

— ბატონო ჯუმბერ, როგორია „თქვენი“ ნუსხა თბილისში დაბადებული დიდი სომხებისა?

— ვიქტორ ამბარცუმიანი; მწერლები საიათნოვა და ოვანეს თუმანიანი; კინორეჟისორები — ჩვენი სერგეი ფარაჯანოვი (აქ ეგებ გავიხსენოთ, რომ დაუვიწყარმა სოფიკო ჭიაურელმა შესანიშნავად შეასრულა მამაკაცის — საიათნოვას როლი ფარაჯანოვის ფილმში; ისიც, რომ სოფიკო სომხეთის სახალხო არტისტიც გახლდათ) და ჰოლივუდის ლეგენდა რუბენ მამულიანი; კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი; მეცნიერები, ძმები ლეონ და იოსებ ორბელები (ერთი — ფიზიოლოგი, მეორე — ისტორიკოსი); ფიზიკოსი არტიომ ალიხანიანი; მოჭადრაკე ტიგრან პეტროსიანი... სომხური კულტურის მთელი „ნაღები“ ცხოვრობდა თბილისში...

— იუბილართან პირად ურთიერთობაზე რას იტყოდით?

— მქონდა არაერთი ღირსსახსოვარი შეხვედრა თბილისში, მოსკოვში, ბიურაკანის ობსერვატორიაში, განსაკუთრებით ჩემი აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორობისას. უაღრესად საგულისყურო და შთამბეჭდავი იყო მისი საუბრები... დაკრძალვაზეც ჩავედი ბიურაკანში.

— წიგნის წერას უკვე შეუდექით?

— მე და ჩემმა თანაავტორმა, ცნობილმა ასტროფიზიკოსმა ქალბატონმა გიული მათეშვილმა ერთად შევაგროვეთ დიდძალი მასალა ვიქტორ ამბარცუმიანზე და წერასაც მალე დავიწყებთ.

...ჩვენი გამოჩენილი მკვლევარი — ასტროფიზიკოსის ჯუმბერ ლომინაძის მეცნიერულ თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ამ სფეროების მიღმა მისი სხვადასხვა გატაცების შესახებ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე არაერთხელ თქმულა. ამას წინათ ის მხატვრულ ფილმში „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“ გადაიღო სახელოვანმა ქართველმა კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ. შემთხვევა მომეცა და ვკითხე ბატონ რეზოს, როგორ მსახიობად გეჩვენათ ჯუმბერი-მეთქი. „ნაკლებად როდი გამოიჩინა თავი, ვიდრე სამეცნიერო სარბიელზეო, გაიხუმრა ხელოვანმა.

ახლო მომავალში აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე მწერლის ამპლუაში წარმოდგება, როცა დიდ „ქართველ სომეხზე“ ნაშრომს დაამთავრებს თანაავტორ ქალბატონთან ერთად. აქაც ვუსურვოთ წარმატება ამ მრავალმხრივ ნიჭიერ კაცს...

თამაზ ეზანოიძე

◎ ინფორმაცია

თბილისში ცხრასართულიანი კორპუსის მიშენებული ნაწილი ჩამოინგრა

როგორც მერიის საგანგებო სიტუაციათა სამსახურის უფროსმა თემურ გრიგალაშვილმა განაცხადა, ჩამონგრევის შედეგად არის მსხვერპლი.

გრიგალაშვილის თქმით, ამ დროისთვის არ არის დადგენილი მიშენების ჩამონგრევის მიზეზი. ადგილზე სპეციალისტები მუშაობენ და ჩამონგრევის დეტალებს დაადგენენ.

გაზის გაჟონვას მსხვერპლი მოჰყვა

ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად თბილისში ორი ადამიანი გარდაიცვალა.



მიხეილ და ვალია გალოიანები ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. მათი გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, წყლის გამათბობლიდან გაჟონილი გაზი გახდა.

მიმდინარეობს გამოძიება.

ახალსახლობა ახალსოფელში

9 დეკემბერს, ქარელის რაიონის სოფელ ახალსოფელში რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული 100 ოჯახი ჩაასახლეს. ისინი ძირითადად ზნაურის რაიონის სოფლების მაცხოვრებლები იყვნენ.

აქციაში მონაწილეობას იღებდა გერმანული ფირმა „შირნჰოფერი“. მან ახალ დასახლებაში ძეხვეული და ფირმის მიერ წარმოებული სხვა პროდუქცია დაარიგა.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთობლივად მსგავსი საქველმოქმედო აქციები კვლავაც გაგრძელდება.

ინტერპრესნიუსი და ჰი-ეიჩ-ენი

№ 231. ოთხშაბათი, 10 დეკემბერი, 2008 წელი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რატომ არის საქართველო არასტაბილური? – შეეკითხეთ რუსებს!

გასულ კვირას ნატომ კიდევ ერთხელ მოგვცა სიგნალი იმის შესახებ, რომ საქართველო შევა ალიანსში და დააჩქარა ჩვენი ქვეყნის ალიანსის წევრად მზადების პროცესი. ქართველი ხალხი მიესალმება ამ გადაწყვეტილებას, როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს ჩვენს რეგიონში სტაბილურობის აღდგენისთვის რუსეთის აგვისტოს შემოჭრის შემდეგ.

ჩემი მთავრობა განსაკუთრებით მადლობას უხდის დიდ ბრიტანეთს მხარდაჭერისთვის და დევიდ მილიბენდს მხარდაჭერის სიტყვებისთვის ჩვენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებთან დაკავშირებით. მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ყველაფერს გავაკეთებ ალიანსის მოთხოვნათა შესასრულებლად.

წევრად გახდომისთვის მზადებაში ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, არ დავუშვათ, რომ გასული ზაფხულის მოვლენებმა სამხრეთ ოსეთში ჩვენი ყურადღება გადაიტანოს რეფორმებიდან. რაც შეეხება კონფლიქტის შეფასებას, ჩვენ უკიდურესად გულღიად ვმოქმედებთ საერთაშორისო გაერთიანებასთან, მაგრამ ჩვენ კიდევ გვიწევს მივუთითოთ მთელ რიგ გავრცელებულ მტკიცებათა სიყალბეზე.

მას შემდეგ, რაც აგვისტოში რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, მსოფლიო გაერთიანებამ, როგორც ჩანს, თავისი ყურადღება დააფიქსირა ერთ საკითხზე: როგორ დაიწყო ეს ომი? ნამდვილად მოხდა თუ არა საქართველოს არმიის მიერ სამხრეთ ოსეთში ქალაქ ცხინვალის თავის კონტროლქვეშ აყვანა და რამდენად იყო ეს უპასუხისმგებლო ნაბიჯი. ეს საკითხი აღმოჩნდა დებატების ცენტრში რუსეთის გააფთრებული პიარ-კამპანიის წყალობით, რაც მას მილიონობით დოლარი დაუჯდა.

ზედმეტ ყურადღებას საკითხისადმი იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო ეს ომი, გადავყავართ სხვაგან იმ ფაქტისგან, რომ რუსეთი დიდი ხანია დაჟინებით აწარმოებს პოლიტიკას, რომელიც საქართველოში რეჟიმის შეცვლას უკავშირდება. მისი მიზანია – მოახდინოს საქართველოს დესტაბილიზაცია ეთნიკური მანიპულაციებითა და შედეგად მოაშთოს ჩვენი დემოკრატია. არავინ არასოდეს არ უარყოფდა, რომ ჩვენი ჯარები შევიდოდნენ სამხრეთ ოსეთში: მე ყოველთვის ვაღიარებდი, რომ გავეცი ბრძანება საბრძოლო მოქმედებათა დაწყების შესახებ, როგორც მოიქცეოდა ნებისმიერი პასუხისმგებელი დემოკრატიული ლიდერი და რასაც მოითხოვდა ჩემგან საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის დასაცავად.

მე მივიღე ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა ორი ფაქტი: ჯერ ერთი, რუსეთმა თავი მოუყარა ასობით ტანკს და ათასობით სამხედრო მოსამსახურეს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე სამხრეთ ოსეთის რაიონში. ჩვენ გვქონდა დაზვერვის ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, რომ ისინი შემოდიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ფაქტი, რომელიც მოგვიანებით დაადასტურა გადამტაცი სატელეფონო საუბრებით, ფაქტი, რომლის შინაარსსაც არასოდეს უარყოფდა თავად რუსეთიც. მეორეც, რუსეთის ჯარები და მათი ადგილობრივი მეკავშირეები მთელი კვირის განმავლობაში ახორციელებდნენ პროვოკაციულ მოქმედებებს, ისროდნენ ქართული სოფლების მიმართულებით, თანაც იარაღის დიდი ნაწილი, რითაც ხდებოდა სროლები, იმყოფებოდა ცხინვალში, ხშირად რუსეთის სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად ობიექტებზე. 7 აგვისტოს რუსეთმა და მისმა მარიონეტებმა მოკლეს რამდენიმე ქართველი სამშვიდობო. რუსმა სამშვიდობოებმა და ეუთოს მეთვალყურეებმა აღიარეს, რომ არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ ეს სასიკვდილო თავდასხმები. შარშან ეუთომ ვერ შეძლო შეეჩერებინა რუსეთის მხრიდან ორი უკანონო სამხედრო ბაზის მშენებლობა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

ჩვენ ყველას გვაქვს იმედი, რომ რუსეთი კვლავ გადაწყვეტს, გახდეს საერთაშორისო გაერთიანების წევრი სრულუფლებიანი პარტნიორის სახით. ეს იქნებოდა უდიდესი წვლილი საქართველოს სტაბილურობაში. ამავე დროს უნდა დავრწმუნდეთ, რომ საამისოდ მსხვერპლად არ შეეწირება ისეთი დემოკრატიული ქვეყნები, როგორიცაა საქართველო და რომლებიც ცდილობდნენ გადააქციონ მსოფლიოს ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო სტაბილურად, უსაფრთხოდ და თავისუფლად.

THE INDEPENDENT

განცხადებები აუქციონების ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 24 დეკემბერს 12:00 საათზე, ხონში, კაკაბაძის №17 (ხონის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) „ხონის რაიკოპერატივის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება ხონში ჭანტურიას №8-ში მდებარე შემდეგი ქონება:

1. საიუველირო მაღაზია 7500 ლარი
2. სპორტული მაღაზია, 8000 ლარი
3. სასურსათო მაღაზია, 11400 ლარი
4. საწყობი, 11500 ლარი

ჯამი: 38400 ლარი

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 38400 (ოცდათვრამეტიათას ოთხასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1

ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 26 დეკემბერს 14:00 საათზე, წყალტუბოში, რუსთაველის №24-ში (წყალტუბოს ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „ოფურჩხეთი-98“-ის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. ადმინისტრაციული შენობა – შენობა ორსართულიანია, აშენებულია აგურით, ბლოკითა და ქვით – 483 კვ.მ. – შეფასებულია – 12000 ლარად;

2. კლუბის შენობა – შენობა ერთსართულიანია, აშენებულია წვრილი ბლოკით – 297 კვ.მ. – შეფასებულია – 4800 ლარად;

3. ცენტრალური გათბობა ადმინისტრაციულ შენობაში – მილგაყვანილობა და თუჯის რადიატორები – 16 ცალი – შეფასებულია – 300 ლარდ;

4. საკანცელარიო მაგიდა თავისი მისადგმელით – შეფასებულია 50 ლარად;

5. რკინის ჭიშკარი: ა) ადმინისტრაციული შენობის შესასვლელში – შეფასებულია – 100 ლარად; ბ) საწყობის შესასვლელში – 250 ლარად;

6. საყარაულო ჯიხური – ერთსართულიანი, აშენებულია აგურით – 9.4 კვ.მ. – შეფასებულია – 120 ლარად;

7. საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა სამ ნაწილად; **პირველი შენობა** – ერთსართულიანია, აშენებულია წვრილი ბლოკით – 177,6 კვ.მ. –შეფასებულია – 2000 ლარად; **მეორე შენობა** – ერთსართულიანია, აშენებულია წვრილი ბლოკით – 173 კვ.მ. – შეფასებულია – 2000 ლარად; **მესამე შენობა** – ერთსართულიანია, აშენებულია წვრილი ბლოკით – 122 კვ.მ. – შეფასებულია – 1200 ლარად;

8. ბაღის სპორტული დარბაზი – 71 კვ.მ. – შეფასებულია – 200 ლარად;

9. საპირფარეშო: ადმინისტრაციული შენობის ეზოში – 5 კვ.მ. – შეფასებულია – 80 ლარად; სკოლის შენობაში – 15,5 კვ.მ. – შეფასებულია – 300 ლარად;

10. ბენზინის საწყობი – 20 კვ.მ. – შეფასებულია – 50 ლარად;

11. პიანინო – შეფასებულია – 250 ლარად;

12. სასიმინდის შენობა ღობით – 369 კვ.მ. – შეფასებულია – 3000 ლარად;

13. ტრაქტორი “ტ-16-მ” – შეფასებულია – 350 ლარად;

14. ტრაქტორი “მტზ-80” – შეფასებულია – 700 ლარად;

15. ტრაქტორის ერთღერძიანი მისაბმელი – შეფასებულია – 120 ლარად;

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 27870 (ოცდაშვიდიათას რვაასსამოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1

ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79

ენერგობაზარი

დოლარის კურსის ზრდამ, ლარის მრავალთვიანი, ერთობ გაუგებარი გამყარების ჯერ შეჩერებამ, შემდეგ კი ასევე გაუგებარმა აწევამ, ეკონომიკურმა კრიზისმა, გარე ინტერვენციის რეალურმა საფრთხემ, სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და იმპორტულ პროდუქციაზე ფასების ზრდამ, დამდგარმა ზამთარმა და სიცივის გამო ენერგშემცველების გაზრდილმა მოხმარებამ, რამაც, თავის მხრივ გადასახდელი თანხების მომატება გამოიწვია, საქართველოს მოსახლეობაში ამჟამინდელზე უფრო მძიმე დროებათა წინაშე ძნელად დასაძლევი შიში წარმოშვა.

ცისფერი საწვავის ფასი „გაზის OPEC“-ის ფონზე

მას შემდეგ, რაც საქართველომ და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს ხუთწლიან კონტრაქტს აზერბაიჯანული გაზის მოწოდებაზე, ხალხში ხმა დაირხა, რომ სამომხმარებლო ტარიფი შესაძლოა მნიშვნელოვნად გაიზარდოს. ამ ეჭვს, სულ მცირე, ორი მიზეზი მაინც ამაგრებს: პირველი ისაა, რომ გაზის ფასი გაუზარდეს საწარმოებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს, მეორე კი ის, რომ ახლა ერთ კუბურ მეტრ გაზში გადასახადი მოუმატეს იმათაც, ვისაც ბოლო დროს, ხუთწლიანი ამორტიზაციის ვადის გასვლის საბაბით, მრიცხველი გამოუცვალეს. **ეს ბოლო მიზეზი კი სრულად გვარწმუნებს გაზის ტარიფის გარდუვალ მომატებაში, ყოველ შემთხვევაში დღეს თუ არა, ხვალ – უეჭველად.** ამის მტკიცების უფლებას ასევე ორი გარემოება გვაძლევს: პირველი ის, რომ, **სხვა თუ არაფერი, ხუთ წელიწადში უკვე უკლებლივ ყველა კერძო მომხმარებლის მრიცხველს ამორტიზაციის ვადა გაუვა** (ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ გვიდგამენ ისეთ ტექნიკურ მოწყობილობებს, ასე მალმალე რომ ხდება შესაცვლელი? ვფიქრობთ, სამართლიან ეჭვს გამოვთქვამთ, რომ ეს ისევ მათ იმპორტიორთა მერკანტილურ ინტერესებს ემსახურებაძ.

მეორე გარემოება კი ისაა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებული ხელშეკრულების კომენტირებისას ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა აღნიშნა, რომ გაზის სამომხმარებლო ტარიფი მხოლოდ ხუთი წლის მანძილზე არ მოიმატებს, თუმცა ეს არც არის გასაკვირი. ახალი ხელშეკრულებით, თუკი მანამდე ყოველ 1000 კუბურ მეტრ გაზში გაზგამანაწილებელი კომპანიები 120 დოლარს იხდიდნენ, ახლა აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია SOCAR-ს 167 დოლარს გადაუხდიან, ხოლო თბოელექტროსადგურები იმავე მოცულობა გაზს 143 დოლარად შეიძენენ. ხელშეკრულებაში გაწერილია აგრეთვე აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოსატანი ბუნებრივი გაზის მოცულობები.

კერძოდ, გაისად საქართველოს მომხმარებელი მიიღებს მთლიანად მილიარდ კუბურ მეტრზე ოდნავ მეტ გაზს, 2010-ში კი 963 მილიონ კუბურ მეტრ საწვავს. ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, სადღეისოდ საქართველო წელიწადში 1,8 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, თავის მხრივ, დაადასტურა მინისტრის განცხადება და ასევე დასძინა, რომ 50-თვიანი პროგრამის ფარგლებში მთავრობა ეცდება დანაპირების შესრულებას და ბუნებრივი გაზი მოსახლეობის 80 პროცენტს ექნება.

ეს არის, ასე ვთქვათ, საქართველოში ბუნებრივი გაზის შემოზიდვის უახლოესი წლების პერსპექტივა. რაც შეეხება გრძელვადიან პროგნოზს, ის ჯერჯერობით საკმაოდ ბუნდოვანია რამდენიმე მიზეზით. პირველია ის, რომ წლის დამლევისთვის მოსკოვში გაიმართება მსოფლიოში გაზის 16 უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნის წარმომადგენელთა ფორუმი, რომელზეც ისინი ახალი „გაზის OPEC“-ად უკვე მონათლული ორგანიზაციის შექმნას აპირებენ. საქართველოსთვის (და არა მარტო ჩვენთვისძ ეს უდავოდ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვინაიდან გაზის ექსპორტიორებს მრავალი საერთო ინტერესი აქვთ – ესენია, უწინარესად, ფასწარმოქმნის ნიუანსები, ასევე მყიდველ-გამყიდველის ურთიერთობები. საგულისხმოა რუსეთის პოზიცია, რომელიც მსოფლიოს კიდევ ორ უმსხვილეს გაზის მომპოვებელ ქვეყანასთან – კატარსა და ირანთან ერთად – დამატებით კიდევ „გაზის სამეულის“ (!ძ შექმნასაც აპირებს.

საქმე ის არის, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში ენერგომშემცველთა ექსპორტიორები, იმის გათვალისწინებით, რომ მათი კლიენტები სულ უფრო მეტად ცდილობენ საკუთარი ინტერესების ურთიერთგათვალისწინებას, თავადაც ცდილობენ ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას სხვადასხვა სფეროში. ამას ემატება ისიც, რომ მოთხოვნა ბუნებრივ გაზზე განუხრელად იზრდება, ბაზარი ფართოვდება და, ამასთან ერთად, იზრდება მომხმარებელთა პრეტენზიებიც.

საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, იმის გამო, რომ ირანი განაგრძობს ბირთვული პროგრამის დამუშავებას, იგი საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია, რაც განაპირობებს რუსეთსა და კატართან ერთად „გაზის OPEC“-ის შექმნის სურვილს. ეს გასაგებიცაა: ქვეყანას, რომელიც მსოფლიოს ბუნებრივი გაზის მარაგის 18 პროცენტს ფლობს, სურს მისი ევროპელებისთვის მიყიდვა.

როგორც ამასთან დაკავშირებით გერმანული გამოცემა Handeesbbatt-ი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ოფიციალური პოლიტიკა ენერგომშემცველთა მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციას ითვალისწინებს, ბრიუსელი ჯერჯერობით თავს იკავებს ირანის წინადადებაზე მისგან გაზის ყიდვის თაობაზე. **ამასთან, ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ ევროპაში ბუნებრივი გაზის მიწოდების დივერსიფიკაციის უმსხვილესი პროექტი – გაზსადენი Nabuco, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით უნდა აშენდეს და რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეც გაივლის – ირანული გაზის გარეშე წარმოუდგენელია.** თუმცა, საერთაშორისო სანქციებთან დაკავშირებით, დასავლეთის მრავალმა ენერგეტიკულმა კონცერნმა გაყინა თავისი საინვესტიციო პროექტი ირანში.

ამდენად, თუ როგორი იქნება ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო თუ სამრეწველო ფასი საქართველოში შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში, დიდად იქნება დამოკიდებული „გაზის OPEC“-ის პოლიტიკაზე, ევროკავშირისა და ირანის ურთიერთობებსა და მთელ რიგ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორზე.

ოთარ ტურაბელიძე

იუბილარი ჟურნალი

არ მოგვეშალოს „ცისკრის“ ნათება

პოლიტიკაზე კამათისას (გინდა, არ გინდა, ვერ გაექცევი) რამდენჯერ გულისტკივილით მითქვამს, ამერიკა რატომ უნდა გვიკარნახებდეს ყველაფერს, თითქმის მისი ხნის ჟურნალი „ცისკარი“ გვაქვს-მეთქი... გვაქვს?.. ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების სამარცხვინოდ, მთავარი რედაქტორის **ზაურ კალანდიას** და მისი „რაზმის“ დიდი ძალისხმევითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ზრუნვით, დროდადრო თუ გამოდის ეს ერთ დროს უპოპულარესი სალიტერატურო ჟურნალი... ჰოდა, ახლაც გამოსულა, ოღონდ განსაკუთრებული, საიუბილეო, „ცისკრის“ 155 წლის აღმნიშვნელი...

...და, დაინტერესებული მკითხველი, სიამოვნებით გაადევნებს თვალს ჟურნალის მდიდარ ისტორიას. 1851 წლის ბოლოს გიორგი ერისთავმა საქართველოს მთავარმმართებლის ვორონცოვის ნებართვა მიიღო „ცისკრის“ გამოცემის შესახებ და უკვე 1852 წლის იანვარში გიორგი ერისთავის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალის პირველი ნომერი... მოგვიანებით ილია ჭავჭავაძე წერდა: **„ცისკარმა“... აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენას“.** გაივლის 100 წელი და 1957 წელს, როდესაც ჟურნალ „ცისკარს“ აღადგენენ, დიდი ილიას ეს გამონათქვამი სიტყვასიტყვით გადავა XX საუკუნის 60-იანელებზე, რომლებმაც მართლაც ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენთა აზრთა დენასა. საუკუნენახევრის მანძილზე „ცისკრის“ ყველა რედაქტორი, თითქმის ყველა ავტორი წარმოდგენილი საიუბილეო ნომერში (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდაძ, რომლებიც თავიანთი ნიჭიერებით, აზროვნებით, სტილით ამდიდრებდნენ და ამდიდრებენ მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას, მათ ეამაყებოდათ და ეამაყებათ ჟურნალ „ცისკრის“ ავტორობა. არ მოგვეშალოს „ცისკრის“ ნათება.



ახალი წიგნები

იაპონური პოეზია, რომელიც ძირითადად სალექსო ფორმა – ტანკას ეფუძნება, გასული საუკუნის 70-იან წლებში ბრძენთაბრძენ აკუტაგავას ლექსებით გავიცანით (მთარგმნელი კონსტანტინე ლორთქიფანიძე). მახსოვს, ქართველი მკითხველის აღფრთოვანება ტანკათა ლაკონურობისა და იქ ჩატეული ღრმა აზროვნების გამო.

სიბრძნე და სურნელება იაპონურისა...

და აი, ახლახან გამომცემლობა **„სიესტამ“** გამოსცა **„ასი უძველესი იაპონური ლექსი“,** რომელიც იაპონურიდან თარგმნა **ირმა რატიანმა.** იაპონური პოეზიის ძველთაძველ ტრადიციებზე საუბარი, ცხადია, ქართველ მკითხველთან აუცილებელი იყო, და მთარგმნელიც მაღალპროფესიულად ხსნის უძველესი იაპონური პოეზიის მნიშვნელობას თითოეული იაპონელის სულიერი აღზრდისთვის, გვიმხელს იმ სირთულეებს, რაც თან ახლდა თარგმნის პროცესს, რადგან იაპონური სალექსო ფორმა – ტანკა სტანდარტულ პარამეტრებში ვერ ჯდება, შინაარსის სრულყოფილებაც ძალისხმევას მოითხოვს. ეს ყოველივე რომ მაღალ დონეზე აღუსრულებია მთარგმნელს, უპირველესად მკითხველი იგრძნობს და რასაც სიამოვნებით ადასტურებენ კიდეც თარგმანის რეცენზენტები: ბატონები – **როსტომ ჩხეიძე, ჯემალ აჯიაშვილი,** იაპონელი ქართველოლოგი **იასუჰირო კოჯიმა** და **დავით წერედიანი.** მაგალითად, **ჯემალ აჯიაშვილი** წერს: **„სინატიფე და დახვეწილობა, ლირიულობა და ფაქიზი მედიტაციური წიაღსვლები, რაც ასე საცნაურია წინამდებარე წიგნში, ბადებს იმის სურვილს, რომ მთარგმნელმა იაპონური კლასიკური ლიტერატურის სხვა შედევრებითაც აზიაროს ქართველი მკითხველი...“**

ნეტამც!..

ასი
უძველესი
იაპონური
ლექსი

ოპერაში „დაიბადა“ პოეტი...

მოულოდნელად მოგვევლინა მანანა დანგაძე – სულიერებით, ეროვნულობით, სიყვარულის დიდი გრძნობით, პუბლიცისტური მგზნებარებით დამუხტული პოეტი, ჩვენი შესანიშნავი კომპოზიტორის ვაჟა აზარაშვილის მეუღლე, მზრუნველი დედა და ბებია... სიმართლე გითხრათ, არასდროს გამეგონა მისი გვარი, რადგან თითქმის არასდროს დაუბეჭდავს ლექსი პერიოდულ პრესაში და, აი, უცებ მოგვაწოდა **„სევდის ანარეკლი“**, ჭეშმარიტად, გულიდან წამოსული ლექსების წიგნი... საოპერო თეატრის „წითელ დარბაზში“ გვეპატიჟებოდნენ ქალბატონი მანანა დანგაძე და ბატონი ვაჟა აზარაშვილი... და, სხვათა შორის, იქაურობა გაივსო ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებით... არც უნანიათ: იმ დღეს, როგორც ბატონმა რეზო ჩხეიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, დაიბადა ჭეშმარიტი პოეტი – სევდით, სიხარულით, იმედით სავსე, მეტაფორებით დამუხტული, მოფიქრალი სამშობლოს დღევანდელობასა და მომავალზე:

„გული როგორ დავიმშვიდო,
უფალს შევთხოვ,
შემეწიე, ხელი ჯვარზე
მიკიდია,
კიდევ ერთხელ მომივლინე
დავით მეფე,
თორემ მამულს უმოწყალოდ
მიყიდიან“.

ვინ აღარ მიულოცა ის საღამო მანანა დანგაძეს: მწერლებმა, პოეტებმა... მსახიობები კითხულობდნენ მის ლექსებს, შესანიშნავად კითხულობდა თვითონაც... ჯანსული (ჩარკვიანიძ აბა, რის ჯანსულია, რომ თავისებურად არ გამოსულიყო და მისალმების შემდეგ ექსპრომტიც უძღვნა ქალბატონ მანანას:

მე, რასაც ვამბობ, ძველია,
ადრე ამბობდნენ სოფლად,
ლექსის წერაზე ძნელია
აზარაშვილთან ყოფნა.

ვაჟამ „აიტანა“ ეს ქარაგმა და, სამაგიეროდ, ისეთი სიმღერა უძღვნა თავის მეუღლეს, რომ დარბაზი „დაინგრა“ (სხვათა შორის, იმ საღამოს ვაჟა აზარაშვილის სამი რომანსი შესრულდა მანანა დანგაძის ტექსტზეძ.

ერთი სიტყვით, ჩვენს თვალწინ, მშვენიერი წიგნით, დაიბადა პოეტი, რომელსაც თავისი საფიქრალი და სათქმელი აქვს...

ვილენ მარდალეიშვილი.

მანანა დანგაძე
სევდის ანარეკლი

◎ როქი

როცა ჯამი არ იცვლება

ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების შტოს მსგავსად, გუშინ როქი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშიც განხორციელდა — სავარძლები გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ და ვიცეპრეზიდენტმა რევაზ არველაძემ გაცვალეს.

ეს ცვლილებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სფფ-ში ყველაფერი წესრიგში არაა. მართალია, განხეთქილების შენიღბვას საგულდაგულოდ ცდილობენ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ — ჭირმა თავი მალა, მაგრამ ვერ დამალაო.

მით უმეტეს მაშინ, როცა მთელმა საზოგადოებამ შეიტყო ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პეტარ სეგრტის ფაქტორის შესახებ, რომელსაც „ჯვაროსანთა“ თავკაცის პოსტზე ნოდარ ახალკაცი ლობირებდა, ამ უშედეგო მცდელობით კი ფედერაციის პრეზიდენტმა ლამის მთელი აღმასკომი გადაიკიდა.

◎ მინიფეხბურთი

სტუდენტებს „ქარიშხალამ“ უმასპინძლა

საქართველოს ეროვნულ პატრიოტთა კავშირის (თავმჯდომარე ნიკოლოზ ჭუმბურიძე ინიციატივითა და საგადასახადო-საბაჟო აკადემიის (რექტორი ზაურ ამილახვარიძე ხელშეწყობით სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების მინიფეხბურთელთა ტურნირი გაიმართა (მთავარი მსაჯი ტრისტან ნიშნიანიძე. შეჯიბრებაში 8 გუნდი მონაწილეობდა. ჯგუფური ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის (რექტორი ვახტანგ ფერაძე ფეხბურთელებმა სოხუმის უნივერსიტეტის (რექტორი ჯონი აფაქიძე წარმომადგენლებს სძლიეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს. მესამე ადგილებზე საგადასახადო-საბაჟო აკადემიისა და კიევის სლავისტიკური უნივერსიტეტის (რექტორი ჯემალ ხარებავა გუნდები გავიდნენ. პრიზიორებისთვის ჯილდოები თბილისის მერიის სპორტის სამსახურმა (ზაზა დოლიძე და სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირმა (იროდი ბეჟაშვილი დააწესეს.

◎ სამბო

ⴓⴞⴅⴈ ⴌⴀⴃⴀⴅⴊⴈⴇ



კაუნასში დამთავრდა სტუდენტ სამბისტთა მსოფლიოს პირად-გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა ოთხი ოქროს (კახა მამულაშვილი, გიორგი იაძე, მინდია ბოდაველი, ვახტანგ ზოიძე, ორი ვერცხლის (გელა ბარათაშვილი, ბექა იმერლიშვილი და ამდენივე ბრინჯაოს (უშანგი კუზანაშვილი, ავთანდილ ცინცაძე მედალი მოიპოვეს. საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა.

◎ მარათონელი

წყლის კაცი

ჭიათურელი ოლეგ სამხარაძე სპორტის საყვარელ სახეობას მაშინ ეზიარა, როცა მაღაროელთა ქალაქში 25-მეტრიანი საცურაო აუზი გაიხსნა. მაშინ იგი მეხუთე კლასის მოსწავლე იყო. იქვე 2 შვილის მამა და 2 შვილიშვილის ბაბუა 20 წლის განმავლობაში აფრთიანებდა „ცისფერი ბილიკების“ ნორჩ მართვეებს, მწვრთნელად საზღვარგარეთაც იღვაწა, ხოლო მოგვიანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში წყალქვეშა მომზადების ინსტრუქტორად იმუშავა. დღეს 55 წლის თავგადასავალთა მაძიებელი თბილისის ზღვის უბანში ცხოვრობს და იმავე ტერიტორიაზე განთავსებული აფხაზეთის მესამე საჯარო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელია.



ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარი ვაჟკაცი შინ ყოველდღიურად 2 საათს სიმძიმეებით ვარჯიშს უთმობს და ცურვის იმიტაციებსაც ასრულებს, მარტიდან დეკემბრამდე კი დედაქალაქის ზღვის ტალღებზე 10-15 კილომეტრს ფარავს.

ალბათ, დაგაინტერესებთ — კი, ბატონო, სახალისო ოფლისღვრა კარგია, მაგრამ რატომ ასეთი ინტენსიური დატვირთვებიო? ახლავე მოგახსენებთ.

ყვირილასპირელი ამფიბია მეხუთე წელიწადია გრძელ დისტანციებზე ცურვაზე გადაერთო და წლეულს ზაფხულში სტამბოლის საერთაშორისო მარათონში მიაღწია პირველ წარმატებას — 23 ქვეყნის წარმომადგენლებთან დავაში მან ევროპა-აზიის წყალგამყოფი ბოსფორის სრუტე 1 საათში გადაცურა.

შტორმებთან მოპაექრე წყლის კაცის უახლოესი მიზანი ლა მანშს უკავშირდება — გაისად ზაფხულში მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირის „გიორგის“ ამაგდარი თავკაცი გვანჯი მანია ჩვენს თანამემამულეს საფრანგეთისა და ინგლისის დამაკავშირებელი ამ 40-კილომეტრიანი სრუტისკენ გაუძღვება, სადაც ატლანტიკის ოკეანე ჩრდილოეთის ზღვას უერთდება. ვიმედოვნებთ, იქაური ცივი და „უკარება“ წყალი, პირველად, ქართველსაც დანებდება.

გაბრიელ ბარჯაძე

◎ მწარე რეალობა

რა ნახა მარკმა?

2007 წლის შემოდგომა, საფრანგეთი, მარსელი. მიმდინარეობს რაგბიში მსოფლიო თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაში საფრანგეთსა და საქართველოს შორის. „ველოდრომის“ სტადიონის ტრიბუნაზე არიან საფრანგეთისა და საქართველოს პრეზიდენტები. მართალია, ნიკოლა სარკოზი უფრო ამაყია (საფრანგეთი დიდი ანგარიშით გვიგებს), მაგრამ არც მიხეილ სააკაშვილს აქვს გაწითლების საბაბი. ამ თამაშს წინ უძღოდა ჩვენი ნაკრების მიერ ჩატარებული სამი დიდებული მატჩი: არგენტინასთან, ტურნირის მშვენებად მონათლული — ირლანდიასთან და მოგებული — ნამიბიასთან. მთელი სარაგბო სამყარო ქართული გუნდის წარმოუდგენელ პროგრესზე ლაპარაკობს. ხშირად ისმის კითხვა: საქართველოში მართლაც მხოლოდ ექვსი სარაგბო სტადიონია? ამ დროს ისიც კი არ იციან, რომ ეს ციფრიც მეტისმეტად გადაჭარბებულია.

შეხვედრა მთავრდება. მიუხედავად დამარცხებისა, საფრანგეთის პრეზიდენტი სააკაშვილს გულითადად ულოცავს ჩემპიონატზე წარმატებულ გამოსვლას და სამომავლო მიღწევებს უსურვებს. ჩვენი პრეზიდენტიც აკეთებს განცხადებას ქართული რაგბის დიდი პოტენციალის შესახებ და საქვეყნოდ დებს პირობას, რომ ამ პოტენციალის ხელშესაწყობად, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, ქვეყანაში ათი სარაგბო სტადიონი აშენდება!

ჩამთავრდა იმ წლის სეზონი, დაიწყო და დასრულდა ამ წლისაც. გადავხედოთ იმ ცვლილებებს, რაც ამ პერიოდში ქართულ რაგბიში მოხდა.

გაიზარდა როგორც ბავშვთა, ისე კაცთა გუნდების რაოდენობა: 8-8 გუნდი უმაღლეს და პირველ ლიგებში (ამდენი დიდი ხანია არ ყოფილა), 13 — ჭაბუკთა „ა“ და 12 — „ბ“ ლიგებში. ამას დაუმატეთ ბავშვების მოზღვავება ამ სახეობაში და მიხვდებით, რომ საკმარისი ეს ათი სტადიონიც კი არ არის. უფრო სწორად, არ იქნებოდა საკმარისი, რომ ყოფილიყო.

მაინც რამდენი სტადიონი გვაქვს რაგბისთვის? სააკაშვილის ცნობილ განცხადებამდე, ოფიციალური თამაშებისათვის, გვქონდა ვარკეთილის მეურნეობის სტადიონი და ხანდახან, „კარგად მოქცევის“ შემთხვევაში, „ლოკომოტივის“ სტადიონის სათადარიგო მოედანი. საქართველოს პირველობა ყველა ლიგასა და ასაკში ძირითადად ამ ორ მინდორზე მიმდინარეობდა. ამას დავუმატოთ, ბოლო დროს, რაგბის კავშირის მფლობელობაში გადასული „შევარდენის“ ბაზა ისანში, რომელიც ნაკრების მოსამზადებლადაა განკუთვნილი და ჩემპიონატის თამაშები იქ არ ტარდება. ასევე კლუბ „ლელოს“ სტადიონი ვარკეთილში, რომელიც სავალდებულო სტანდარტებზე პატარაა და პირველობის შეხვედრები არც იქ იმართება. ესაა და ეს.

საუბარი ძირითადად თბილისის ფარგლებში მოქცეულ სტადიონებზეა, მაგრამ გუნდების დიდი უმრავლესობაც ამავე ფარგლებში არსებობს. უმაღლესი და პირველი ლიგის 16 გუნდიდან მხოლოდ ბათუმის, რუსთავის და ქუთაისის ორი გუნდია არათბილისური. თუმცა ამ მხრივ არც მათ ულხინთ.

2008 წლის სეზონში ქართული რაგბის სათამაშო მოედნების სიას დაემატა „სინათლის“ სტადიონი კონიაკის დასახლებაში, ავჭალაში. ასევე მოიხსნა პირობა „კარგად მოქცევის“ შესახებ „ლოკომოტივის“ სათადარიგოზე სათამაშოდ.

მივიღეთ შემდეგი სურათი: უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები (სულ 16) თამაშობენ „სინათლისა“ და „ლოკომოტივის“ სათადარიგო სტადიონებზე, ხოლო ჭაბუკთა „ა“ და „ბ“ ლიგებისა (25 გუნდი) — ვარკეთილის მეურნეობაში. ამას დაუმატეთ ყველა ასაკის ნაკრები და მერე შეეცადეთ ამ მოედნებზე ერთი ღერი ბალახი მაინც მოძებნოთ.

2008 წლის აპრილში საქართველოში ჩამოვიდა IRB-ის („რაგბის საერთაშორისო საბჭო“ — მთავარი საერთაშორისო სარაგბო ორგანიზაცია) მაღალჩინოსანი, ირლანდიელი მარკ იგანი. საქართველოს რაგბის კავშირის პრეს-რელიზში ვკითხულობთ:

„ბატონ იგანის ჩამოსვლის მიზანი იყო კიდევ ერთხელ გადაემოწმებინა საქართველოში რაგბის განვითარების დინამიკა, სარაგბო ინფრასტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობა, მისი განვრცობის პერსპექტივები. ბატონმა იგანმა აპრილის ბოლოს უნდა წარადგინოს IRB-ის აღმასრულებელ საბჭოში ანგარიში, რომლის მიხედვითაც გადაწყდება საქართველოს რაგბის კავშირისთვის ახალ 4-წლიან ციკლში (2009-2012) გამოსაყოფი თანხების ოდენობა.“



სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს კაცი ჩამოსულა იმის შესამოწმებლად, რა გაკეთდა ქართულ რაგბიში პრეზიდენტის განცხადების შემდეგ (როგორც გავიგე, პირადად მოუსმენია დანაპირები ათი სტადიონის შესახებ).

სამწუხაროდ, არ არის ცნობილი, რა ნახა და შეამოწმა ბატონმა იგანმა. რეალურად, სარაგბო თემს, ათის ნაცვლად მხოლოდ ერთი სტადიონი დაემატა. ალბათ იყო მცხეთაში, ჯვარზე. იქნებ სალობიეშიც დააგემოვნა რამე, ალბათ ქართული ღვინითაც ისიამოვნა, მაგრამ ეს ყველაფერი რას ჩააწერინებს იმ ანგარიშში, არავინ იცის.

არადა, ქართულ რაგბის სწორედ ახლა სჭირდება ათი და მეტი მოედანი, IRB-ის ფინანსური და მორალური მხარდაჭერა, საზოგადოების და მთავრობის გვერდში დგომა.

ბავშვთა გუნდები რომ ნახოთ, თვალზე ცრემლი მოგადგებათ. ისეთი ბიჭები იზრდებიან, განვითარების საშუალება თუ მიეცათ, ცოტა ხანში ირლანდიასაც მოუგებენ და ჩვენს 64:7-ზე დამმარცხებელ საფრანგეთსაც გადაუგრეხენ ხელებს. 10-12 წლის ბავშვებს თუ ამხელა თავდადება შეეძლოთ ვერავინ წარმოიდგენდა. ისინი უკვე ნამდვილ რაგბის თამაშობენ — გონივრულს და აგრესიულს, არც თავს ზოგავენ და არც მოწინააღმდეგეს.

თუ ამ ბავშვებს მოედანი და ბალახი არ ექნათ, ვერასოდეს ითამაშებენ დიდ რაგბის. ალბათ ერთეულები საზღვარგარეთ გააღწევენ და იქ რაღაც შედეგი ექნებათ, მაგრამ ეს მათ პირად კლასს აამაღლებს, ქართული რაგბი კი ხრიოკზე მუხლგადაყვლეფილი ენთუზიასტი ბიჭების სპორტად დარჩება.

ვიცი, ახლა ყველაფერი იმ ჩვენი ცოდვით სავსე რუსს დაბრალდება, მაგრამ ის კი ნამდვილად არ ვიცი, როდემდე უნდა ვეძებოთ რაგბის ბურთი ჭადრაკის დაფაზე.

ნიკა ჩალათაშვილი

◎ ინტერნეტიდან

უმდიდრესი კლუბები

ჟურნალმა Forbes მოიცალა და ერთხელ კიდევ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბების შემოსავლები დაიანგარიშა. მეოთხე წელია, ყველაზე „ძვირფას“ კლუბად „ნიუ-იორკ ნიქსს“ აღიარებენ. ის „შეფასებულია“ 613 მილიონ დოლარად.

„ჯიბესქელთა“ პირველ ხუთეულში აგრეთვე შევიდნენ „ლეიკერსი“ (584 მლნ.ძ, „ჩიკაგო“ (504 მლნ.ძ, „დეტროიტი“ (480 მლნ.ძ და „კლივლენდი“ (477 მლნ.ძ ლიგის გუნდების საშუალო ღირებულება 379 მილიონს შეადგენს.

უნდა ისიც ითქვას, რომ მდიდარ საკალათბურთო კლუბებთან შედარებით უმდიდრესად გამოიყურებიან ამერიკული ფეხბურთის ლიგის — NFL-ის კლუბი „დალასი“, რომლის ყულაბა 1,6 მილიარდ დოლარს იტევს და ბეისბოლის კლუბი „იანკიზი“ — 1,3 მილიარდი დოლარი.

მარადონა — ინტერნეტის წინააღმდეგ

ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ, ახლა უკვე არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიეგო მარადონამ ერთხელ კიდევ ააფორიაქა საზოგადოებრიობა, მაგრამ უკვე არა ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით, არამედ ინტერნეტთან ბრძოლით.

მარადონა აპირებს, სასამართლოს მეშვეობით მიაღწიოს თავისი გვარის ამორიცხვას ინტერნეტის საძიებო სისტემიდან. ვარსკვლავს მოსამართლის მარია სერვინი დე კუზერიას მხარდაჭერის იმედი აქვს, თანაც ნაწილობრივ უკვე მიაღწია თავის მიზანს: საძიებო არგენტინული ვერსია Yahoo! აღარ იძლევა ძიების შედეგებს მარადონას გვარზე, რისთვისაც სასამართლოს გადაწყვეტილებას იმოწმებენ.

ასევე იჩივლა სასამართლოში 70 არგენტინელმა ცნობილმა პიროვნებამ, რომლებიც უკმაყოფილონი არიან, რომ ინტერნეტში მათ სახელებს უკავშირებენ პორნოსაიტებს.

თუმცა სიყვარულში არ უმართლებდა...

დიახ, მის ცხოვრებაში იყო აღმაფრენისა და დაცემის მომენტები, ეს ძირითადად ეხება იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ მოდელს ელენა სანტარელის. თუმცა ახლა ის უბედნიერესი ქალია შეყვარებულთან — ფეხბურთელ ბერნარდო კორადისთან ერთად. ისინი, უკვე წელიწადზე მეტია, ერთად არიან, და არც უნდათ რაიმე „ჩავარდნის“ გახსენება. „ძალზე მიხარია, რომ ჩემი ცხოვრების გზაზე შევხვდი ბერნარდოს, — თქვა ლამაზმანმა, — იქამდე ფატალურად არ მიმართლებდა სიყვარულში და სასოწარკვეთილებამდეც კი მივედი... მაგრამ მაშინ შევხვდი ჩემს საყვარელ მამაკაცს, იქამდე არასოდეს ვყოფილვარ ასე კარგად, — ამბობს მშვენიერი ელენა, — მას არა აქვს მკვეთრი მანერები, როგორც ფეხბურთელებს აქვთ. პირიქით, მან დამიპყრო თავისი ალერსიანობითა და მზრუნველობით. მან მუდამ იცის, თუ რა მინდა“.

ხელოვნება

ლეილა ღამბაშიძე

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი ლეილა ბიძინას ასული ღამბაშიძე.

ლეილა ღამბაშიძის მოსვლა ქართულ თეატრში ბუნებრივი და ლოგიკური იყო. ზესტაფონში დაბადებული იმ სახლში გაიზარდა, სადაც აკაკი წერეთელს სამუშაოდ ოთახი ჰქონდა განკუთვნილი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე ქართულ ჟურნალ „მწყემსს" გამოსცემდა, ცნობილი ქართველი მსახიობი შალვა ღამბაშიძე თავის მეგობარ არტისტებთან ერთად ილხენდა და მთელიო ჯახით ესწრებოდა ზესტაფონის თეატრისა თუ საგასტროლოდ ჩამოსული თეატრების სპექტაკლებს.

თეატრალურ ინსტიტუტში იმთავითვე შეამჩნიეს მაღალი, სუსტი აღნაგობის ქალიშვილი. რეჟისორმა აკაკი დვალიშვილმა რატომღაც სახასიათო როლზე დააკავა ა. ჩეხოვის „ხელის თხოვნაში" და მართლაც, მაყურებელი სიცილს ვერ იკავებდა მისი გმირის გარეგნულ მოუქნელობასა და სიტლანქეზე. აქედან მოყოლებული ლეილა ღამბაშიძეს თითქოს დაებედა სახასიათო გმირების თამაში და ეს ამპლუა წარმმართველი შეიქმნა მის აქტიორულ პორტრეტში.

რუსთაველის თეატრში ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა, 1948 წელს. ყოველთვის დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა მინდობილ გმირთა სახეებს. ფერებს არ იშურებდა, გარეგნული სიმკვეთრით, ხასიათის სიმძაფრით, საშემსრულებლო ხერხების მრავალფეროვნებით ამკობდა მათ, ყოველთვის ცდილობდა მაყურებლამდე თავისი სათქმელი მიეტანა. მაყურებელსაც გულწრფელად მოსწონდა ლეილა ღამბაშიძის მიერ შესრულებული როლები სპექტაკლებში: „პირველი ნაბიჯი", „კიკვიძე", „საქმიანი კაცი", „ეზოში ავი ძაღლია", „უჩა უჩარდია", „შემოდგომის აზნაურები", „ყვარყვარე თუთაბერი", „სეილემის პროცესი", „ფიროსმანი", „გუშინდელნი", „ბერნარდა ალბას სახლი", „კავკასიური ცარცის წრე"...

ლეილა ღამბაშიძე სამსახიობო კადრების შემოქმედებითი ზრდის შესანიშნავი მაგალითიაო, – წერდა ცნობილი ქართველი კრიტიკოსი ბესო ჟღენტი და მართლაც, მსახიობის მიერ წარმოთქმული ყოველი ფრაზა გააზრებული იყო, მოძრაობა – მხატვრული ტაქტით გამიზნული. ყოველ პერსონაჟს თავისებური ხასიათით, რეალისტური კოლორიტით, ლირიზმითა და იუმორით აჯილდოებდა. სამსახიობო კარიერის მანძილზე დრამატული როლებიც შეუსრულებია, მაგრამ მისი სტიქია მაინც კომედია იყო და სწორედ აქ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, უხმო სცენებშიც კი შეეძლო ხასიათის გახსნა და ამბის მოთხრობა.

ლეილა ღამბაშიძე შესანიშნავი პარტნიორი, ყურადღებიანი კოლეგა, ამხანაგი, კეთილშობილი ბუნების ადამიანი და თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე იყო.

ქალბატონმა ლეილა ღამბაშიძემ სულიერ შორეთში თან გაიყოლია ადამიანთა დიდი სიყვარული.

**შოთა რუსთაველის სახელმწიფო
აკადემიური თეატრი**

გახსენება

დღეს ზეცად ამაღლდა მისი სული



ზუსტად ორმოცი დღის წინათ აღესრულა ზეზვა ღულუნიშვილი...

იგი იმ ადამიანთა შორის იყო, ვისი ბიოგრაფიაც საზოგადოებრიობას ხელის გულზე უდევს, რადგან გამორჩეულია მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზასავალი.

ამას წინათ აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, გასული საუკუნის შორეულ სამოციან წლებში ახალგაზრდობის რესპუბლიკურ შეკრებაზე სიტყვით გამოსულ ზეზვას ყურადღება მიაქცია საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა და ტრიბუნაზე მდგარ მჭერმეტყველ ორატორს დაწვრილებით გამოკითხა სწავლის ამბები, მშობლების ვინაობა და ა. შ.

ეგებ, მაშინ დაიწყო მისი აღმასვლა საზოგადოებრივი მოღვაწეობის კიბეზე?

ან, იქნებ, მაშინ დაიწყო, როცა ქართული სცენის კორიფეებთან გომელაურთან, კვანტალიანთან, ნინუასთან და სხვებთან და სხვებთან ერთად სცენაზე გამოჩნდა არაჩვეულებრივი სამსახიობო ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა?

ეგებ, მისი წარმატებული ნაბიჯები ქართული კინოს იმ კადრებიდან უნდა ავითვალოთ, სადაც ის იყო გადაღებული? ან სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებზე გამოტანილი სამეცნიერო ნაშრომებიდან?

მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული ზეზვა ღულუნიშვილი და რომელი გზაც უნდა აერჩია, წარმატებული იქნებოდა ყველგან. იგი ურთულესს დაადგა – ხალხის მსახურებას, სახელმწიფო მშენებლობას შეალია მთელი თავისი ცხოვრება, თანაც – რადიკალურად განსხვავებული სახელმწიფო წყობილების პერიოდებში – საბჭოთა კავშირის დროსაც და თავისუფალი საქართველოს ხანაშიც.

ხალხმაც დაუფასა და უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებაში აირჩია: საქართველოს პარლამენტში ზეზვა ღულუნიშვილი ადამიანების სოციალური დაცვის საკითხებს კურირებდა, ზრუნავდა, და ბევრი კანონი, რომელიც ამ ურთულეს სფეროში ვითარების ნორმალიზებისკენ იყო და არის მიმართული, მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობითაა დამუშავებული და მიღებული.

ყველას ეხმარებოდა, გაჭირვებული კი უამრავია საქართველოში. პოპულარული პიროვნება იყო, ყურადღების ცენტრში მოქცეული და ქედმაღლობა ახლოს არ გაჰკარებია.

ზღვა ხალხმა გააცილა უკანასკნელ გზაზე...

38 წლის წინათ, 1970 წლის გაზაფხულზე, ოქრომჭედლის სახელოსნოდან გამოტანილი ზეზვას და მისი მომავალი მეუღლის მანანა ზოდელავას საქორწინო ბეჭდები შამპანიურით სავსე ფუჟერში ჩავყარეთ რესტორანში სახელდახელოდ შესულმა ბიჭებმა და ოჯახური ბედნიერება ვუსურვეთ ახლადშეუღლებულებს.

38 წელიწადი, წარმატებული და ზოგჯერ კრიზისული პერიოდებით დამძიმებული, ბედნიერი გამოდგა.

ვეტერანი ექიმების საზოგადოების თავმჯდომარედ ამირჩიესო, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მითხრა. კმაყოფილი იყო, კოლეგებმა რომ დააფასეს...

წავიდა ზეზვა. ჩემ „ბებერ მეზურნეთაგან" ერთ-ერთი. ზეცად ამაღლდა დღეს მისი სული.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა!

არმაზ სანებლიძე

საქმე №2/237 – 2008

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

16 ივლისი 2008 წელი. ქ. ქუთაისი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი
სხდომის მდივანი მაკა ლალაძე
მოსარჩელე – ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" გენერალური დირექტორი მალხაზ ძაძუა
წარმომადგენელი – ანჟელიკა კიკალეიშვილი
მოპასუხე – აკაკი უკლება (არ გამოცხადდა)
დავის საგანი – თანხის დაკისრება

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 230-ე, 233-237-ე მუხლებით,

გადაწყვიტა:

1. მიღებული იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" გენერალური დირექტორის მალხაზ ძაძუას სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. მოპასუხე – აკაკი უკლებას ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" სასარგებლოდ დაეკისროს 7230 (შვიდიათასორასოცდაათი) ლარის გადახდა.
3. მოპასუხე აკაკი უკლებას ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 216 (ორასთექვსმეტი) ლარის და 9 თეთრის გადახდა.
4. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ხუთი დღის ვადაში გაეგზავნოს მოპასუხე აკაკი უკლებას, რომელსაც განემარტოს, რომ ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით, შეუძლია შემოიტანოს საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გადაწყვეტილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
5. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

მოსამართლე : ირაკლი ლეკვეიშვილი

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს მეურვე ან მზრუნველი დაკისრებული მოვალეობის შესრულებისაგან?

პეტრე როდონაია



პასუხი: მეურვე ან მზრუნველი შეიძლება გათავისუფლდნენ თავისი მოვალეობის შესრულებისაგან მშობლებისათვის ბავშვის აღსაზრდელად დაბრუნების, გაშვილების, ან სამეურვეო (სამზრუნველოძ პირის სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში, აგრეთვე პირადი თხოვნით, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ჩათვლის, რომ ეს თხოვნა საპატიო მიზეზით არის გამოწვეული. საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა, მატერიალური მდგომარეობის შეცვლა, სამეურვეო ან სამზრუნველო პირთან შეუთავსებლობა და სხვა.

* * *

კითხვა: ვინაიდან უხეშად დაირღვა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ჩემი სახელშეკრულებო უფლებები, მსურს გავასაჩივრო, გთხოვთ, მიმითითოთ რამდენ წელს შეადგენს ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა და საიდან იწყება მისი ათვლა?

გიორგი მანჯგალაძე

პასუხი: უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 6 თვეს. ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

* * *

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, საიდან განისაზღვრება (რომელი ხელფასიდან) დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება?

მერი ჯიჯიეშვილი

პასუხი: საქართველოს შრომის კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.

რეზო სტურუა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
დავით იოსების ძე სონღულაშვილი
და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება აკადემიის ღვაწლმოსილი მუშაკის
გაიოზ ფირანიშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

აუქციონზე გასატანამდე ნივთებს გადაიღებენ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის ბიუროს აღმასრულებლები აუქციონზე გატანილი ნივთების ფოტო და ვიდეო გადაღებას და შემდეგ მის დემონსტრირებას შეძლებენ.

როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, აღმასრულებლებს საამისოდ ფოტოაპარატი და ვიდეოკამერა გადაეცათ.

აუქციონზე გასატანი უძრავ-მოძრავი ნივთების თაობაზე ინფორმაციას მომავალში ვიზუალური მასალაც დაერთვება და აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდზე განთავსდება.

ბიუროს თავმჯდომარის გიორგი ოზგაიძის თქმით, ამ სიახლის დანერგვა, ერთი მხრივ, მუშაობას გაუიოლებს აღმასრულებლებს, პოტენციურ შემძენს კი საშუალებას მისცემს, აუქციონზე გატანილი ქონება ფოტოზე ან ვიდეოფირზე იხილოს.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" კოსტავას 12 98-65-87; 899 32-85-76.

მხარე

„ცრემლიანი მარიამობისთვე“

დიდ ტელეეკრანზე კადრები ერთმანეთს ენაცვლება. ტკივილიანი დღეების ქრონოლოგიას წამყვანის ხმა გასდევს, რომელიც გვაბრუნებს და ღრმად გვახედებს მარიამობისთვის ცრემლიან რეალობაში.

ეს სენაკია, 9 აგვისტოს დილა... გაცხადებულ კოშმარად გარდასახულა თითოეული სენაკელისთვის საამაყო ქალაქის პეწი. სიკვდილის ცელი აღუმართავს დაბოღმილი მტრის სასტიკ ხელს, მაგრამ რწმენა და სიმტკიცე ერისა ამით უფრო გაუმყარებია.

„ცრემლიანი მარიამობისთვე“, – პირობითად ასე უწოდა ავტორმა და წამყვანმა ქალბატონმა ლია ღვამბერიამ შეხვედრას, რომელიც სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით შედგა ამას წინათ სენაკის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში.

დარბაზში თავი მოეყარათ აგვისტოს ტრაგედიის საკუთარ თავზე უშუალოდ გადამტანებსა და განმცდელებს, სასულიერო პირებს, სენაკის მუნიციპალიტეტის თავკაცებს, დაღუპულთა ოჯახის წევრებს, მედპერსონალს, სენაკის საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს.

ღონისძიებაში განსაკუთრებული მუხტი შეიტანა პოეტ ლევან ჯანჯღავას ლექსებმა...

თვითგანწმენდის, სულიერი განახლებისა და აღორძინების მნიშვნელობაზე ისაუბრეს, დარბაზში თავმოყრილი საზოგადოება დალოცეს და ანუგეშეს სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსმა შიომ, სენაკის იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა მამა ნაზარმა.

აგვისტოს მოვლენებზე ილაპარაკეს: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა კილასონიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ზესიკ ნარმანიამ, კულტურის, განათლების, სპორტისა და ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ირმა კუპრეიშვილმა, სენაკის სამხედრო ბაზის დაბომბვის დროს დაჭრილმა ჟურნალისტმა ლექსო დემურიამ, ექიმებმა ალექსანდრე ხარებავამ და გია კოკაიამ.

„ჩვენი სოხუმი ისევ ჩვენია“, – ილვრებოდა სევდიანი, მაგრამ იმედით აღსავსე სტრიქონები და მთელი დარბაზი ერთ გულისძგერას აყოლილი ერის თანამდევი უკვდავი სულის ვედრებას უერთდებოდა.

იოსებ გოგეჩია,
„სრ“ საკ. კორ.
სენაკი

ქვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!

თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე სანდო, დახვეწილი,** კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, „საქართველოს რესპუბლიკას“ 90 (ოთხმოცდაათი) წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

ჩვენო ერთგულო მკითხველო! – შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე – 37.47.49; 25.33.88; საქპრესა – 93.30.40; ექსპრესი – 93.66.78; უწყებანი – 93.64.72; ინფოსერვისი – 95.48.82; რუბიკონი – 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე – 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით – 60 ლარი, ერთი წლით – 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია – 66434

თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!

ინფორმაცია

მართლა გვაბოლებენ „ლეიბორისტები“?

სემეკ-ის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი აცხადებს, რომ კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დაჯარიმების საკითხი მარეგულირებელმა კომისიამ წინა სხდომაზე განიხილა, რომელსაც „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

როგორც ჩალაგაშვილმა განაცხადა, სწორედ ამას უკავშირდება „ლეიბორისტების“ მიერ ჩატარებული პრესკონფერენცია, რომელზეც მათ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დაჯარიმება მოითხოვეს.

– წინა სხდომისთვის პროცედურები არ იყო დასრულებული. ჩვენ დავავალეთ შესაბამის სამსახურებს ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წარმომადგენლებთან და იმ მოქალაქეებთან, რომლებსაც შეტანილი აქვთ საჩივრები სემეკში. მორიგი სხდომა დღეს არის დაგეგმილი. შესაძლებელია, სწორედ დღეს გადაწყდეს თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის დაჯარიმება. „ლეიბორისტების“ შეხსენება არ გვჭირდება, – აღნიშნა ჩალაგაშვილმა.

სემეკ-ის თავმჯდომარის თქმით, სხვადასხვა საკითხების გამო კომისიამ უკვე არაერთხელ დააჯარიმა სხვადასხვა კომპანიები, მათ შორის „ყაზტრანსგაზ-თბილისი“.

ინტერპრესნიუსი

ქვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ანეკდოტები

– ოჰ, რა უნამუსო მექალთანე ხარ! საკმარისია, ლამაზ გოგოშკას მოჰკრა თვალი და მაშინვე გავიწყდება, რომ ცოლიანი ხარ, – ჩქმეტს მიხოს ცოლი.

– არა, ქალო! სწორედ მაშინ მახსენდება, რომ შენა მყავხარ!..

* * *

– გოგონი, კინოში წავიდეთ?

– ბილეთი გაქვთ?

– არა.

– პრეზერვატივი.

– კი.

– მაშინ წავიდეთ!

* * *

როცა ცოლიანი კაცი ამბობს, „ამაზე უნდა ვიფიქრო, ჯერ ვერ გადავწყვეტო“, ეს ნიშნავს, რომ არ იცის, რას ფიქრობს ამის თაობაზე მისი ცოლი.

* * *

სტომატოლოგი გამოდის კაბინეტიდან, სადაც მისი პაციენტი ზის, ნერვიულად სცემს ბოლთას დერეფანში და ლამის თმები დაიგლიჯოს.

– რა მოხდა? ძნელი მდგომარეობაა? – ეკითხება მედდა.

– უძნელესი! კლიენტი ნაღდი ფულის ტომარაა, კბილი კი ყველა საღი აქვს...

* * *

რუსეთში ახალი რუსების ხანა დამთავრდა. დაიწყო ახალი არარუსების ხანა.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.